ბიბლიოთეკა

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 133 (20829) ოთხშაბათი, 6 ივნისი, 1990 წელი. ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. ს. გორბაჩოვი, რომელიც შეერთებულ შტატებში ოფიციალური სახელმწიფო ვიზიტის შემდეგ ქვეყანაში მოგზაურობს, შეხვდა ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს რ. რეიგანს და მის მეუღლეს ნენსის.

სურათზე: შეხვედრის დროს.

საკადრ-საქინფორმის ტელეფოტო.

ერთიანი ძალისხმევით, კონკრეტული საქმეებით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომიდან

ვიყოთ გულახდილნი: უკანასკნელ ხანს ყვარელის რაიონი არაერთხელ გამხდარა საყოველთაო ყურადღების საგანი. და ეს შემთხვევით როდა. დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში, რომლებიც განაპირობებენ განახლების პროცესების შეუქცევადობას, რაიონში მწვავედ გაჩენილა მრავალი გადაუჭრელი და რთული პრობლემა. არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა მისი ეკონომიკა, სოციალურ-კულტურული სფერო. გაუარესდა დემოგრაფიული სიტუაცია, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ორი პროცენტული პუნქტით შემცირდა მკვიდრი მოსახლეობის ხვედრითი წილი. აქ ძველი სტერეოტიპებით უდგებოდნენ ეროვნული განვითარებისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის დაგროვილ საკითხთა გადაწყვეტას, მრავალ სფეროში იგრძნობოდა სერიოზული ზნეობრივი დეფორმაციები, სოციალურ ღირებულებათა გაუფასურება. შეიქმნა ფარული ეკონომიკის განვითარების, მიწათსარგებლობის შესახებ კანონთა დარღვევის მასაზრდოებელი პირობები, არსებითად დაქვითდა პარტიის რაიონული კომიტეტის ავტორიტეტი.

ცხადია, იოლი არ იყო გამოგვეძებნა გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. საჭირო იყო არაორდინარული გადაწყვეტანი, რაიონის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში დიდი სიძნელეების დაძლევის ოპტიმალური გზები. საჭირო იყო მოქმედების კონკრეტული პროგრამა. სწორედ ასეთი პროგრამა გახდა საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფცია, რომლის განხორციელებასაც ენერგიულად მოჰკიდა ხელი რაიონის ახალმა ხელმძღვანელობამ, რა თქმა უნდა, ადგილობრივი სპეციფიკისა და პრობლემების გათვალისწინებით.

და, მართალია, ცოტა დრო გავიდა კონცეფციის გამოქვეყნების დღიდან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიზანშეწონილად ცნო განხილა მისი რეალიზაციისთვის პარტიის ყვარლის რაიკომის მუშაობის საკითხი. აქ გასაკვირი არაფერია. განახლების ახლანდელი არაერთმნიშვნელოვანი პერიოდი დიდი მზადების დროს არ გვიტოვებს — ყოველი დღე უნდა გახდეს წინგადადგმული ნაბიჯი, თორემ შეუძლებელი იქნება დანაკარგების ანაზღაურება და მოგვიწევს დავსაჯერდეთ სწრაფად განვითარებად მოვლენათა უფდმივი მდევრის არასაბარბიელო როლს. სწორედ ამ პოზიციამ განსაზღვრა პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაობის სტილი, მისი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის ფორმები და მეთოდები. რაიკომმა ქვაკუთხედად გაიხადა ხალხთან გულახდილი, კონსტრუქციული დიალოგი, დიდსა და მცირეში მასთან მოთათბირება.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლამ, ანალიზმა და განზოგადებამ განსაზღვრა მრავალი საჭირბოროტო პრობლემის მიზანდასახული გადაჭრა. ყურადსაღებია რაიკომის ურთიერთობა საზოგადოებრივ-განმანათლებელ ორგანიზაციებთან, იმდენადვე საერო მუშაობა ადამიანებთან, რამაც საშუალება მისცა თავიდან აეცილებინა მათთან დაპირისპირება და მოეგვარებინა თანამშრომლობა; ერთად წყვეტდნენ რთულ საკითხებს, მაგალითად, აქ გამონახეს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისათვის მუშაობის საკმაოდ საინტერესო ფორმები. ეროვნული განვითარების კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულია გრძელვადიანი სპეციალური პროგრამა, რომელიც უკვე ხორციელდება. შარშან დაახლოებით 200 ახალგაზრდა ოჯახმა გაიუმჯობესა. საბინაო პირობები. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით აშენდა საცხოვრებელი სახლები ცხრა მრავალშვილიანი ოჯახისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტიქიის შედეგად დაზარალებული აჭარლების ჩამოსახლებისა და დამკვიდრების საკითხების ოპერატიულ გადაწყვეტას, სადღეისოდ შესახლებისათვის უკვე მზად არის 47 სახლი, წელს დამთავრდება კიდევ 117 სახლი.

რაიკომის უფდმივი ყურადღების ცენტრშია ეკონომიკის გაჯანსაღება, რადგან სწორედ მის მდგომარეობაზეა დამოკიდებული პრაქტიკულად ყველა საკითხის გადაწყვეტა. თუმცა ჯერჯერობით აშკარად ცოტა რამაა გაკეთებული.

საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივნის, ყვარლის რაიაღმასკომის თავმჯდომარის თ. ოსეფაშვილის ანგარიშიდან:

— რაიკომის მიერ გაწეული მუშაობის მიუხედავად, ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ მოვახდინოთ სათანადო ზემოქმედება სოფლის მეურნეობისა და მთლიანად ეკონომიკის განვითარებაზე. რაიონში ვერ სრულდება სახელმწიფო გეგმები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. მრავალი პრობლემა დაგროვდა ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროებში. ცხადია, მუშაობას ართულებს წარსულის მძიმე მემკვიდრეობა. კერძოდ, 1988 წლის შემოდგომამდე ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა წამატებები, სახელმწიფო საკუთრების დატაცება, გაფლანგვა და სხვა. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ 1989 წლისათვის რაიონს სახელმწიფო ვალმა 28 მილიონი მანეთი შეადგინა. სწორედ ამტომ დღეისათვის რაიკომის უმნიშვნელოვანეს ამოცანად, ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, მივიჩნევთ ზრუნვას სიმწყობილეობაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის. სწორედ ამ საქმეში განვლილი წელი გარდამტები პერიოდი გახდა. ამასთან, რაიკომის აზრით ასეთი კლიმატის შექმნა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია, თუ არ გადაიჭრა და მოწესრიგდა ეროვნული, დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემები, მათ უმეტეს ისეთ სპეციფიკურ რაიონში, როგორიც ყვარელია.

პარტიის რაიკომი უმნიშვნელოვანეს ერეჯნულ ამოცანად მიიჩნევს ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღებისათვის ზრუნვისაც. ამ მიმართულებით აქ უკვე ბევრი რამ გაკეთდა. კერძოდ, ერთიორად შემცირდა ტყეების სამრეწველო ჩეხვა, მკაცრი კონტროლი დაუწესდა შხამქიმიკატების გამოყენებას, სანადგეგეების მოწყობას, მდინარეებისა და სარწყავი არხების კალაპოტების გაწმენდას. სისტემატურად იმართება შაბათობები. რაიკომის ბიურო კვარტალში ერთხელ განიხილავს ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის ზომებს. მაგრამ ჯერჯერობით ეს საკმარისი არ არის. ეკოლოგიური თვალსაზრისით ვითარება რაიონში კვლავ დაძაბულია. ფაქტებისათვის შორს წასვლა არ გვჭირდება. საკმარისია ითქვას, რომ რაიონში არც ერთ სამრეწველო საწარმოს არა აქვს საწმენდი ნაგებობა, საზოგადებრივ მეურნეობებში უნდა შეიქმნას საწყობები შხამქიმიკატების შესანახად, ლამის გადაშენდეს იშვიათი ჯიშის ხეები და ნადირ-ფრინველი.

ერთი სიტყვით, რაიონში პრობლემები საკმარისზე მეტია. ავიღოთ თუნდაც ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა და მოვლა. აქ დაახლოებით 300 ასეთი ძეგლია და თითოეული მათგანი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. ძეგლთა უმრავლესობა ამჟამად მიმაგრებული აქვს სხვადასხვა საწარმოსა და ორგანიზაციას, დამყარებულია მჭიდრო კონტაქტებზ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შთაგარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს რესტავრაციის განყოფილებასთან, რომლის დახმარებითაც პირველქმნილი სახით აღდგენილია მთელი რიგი ძველი უძვირფასესი ძეგლები, აღდგენის პროცესშია კიდევ 15. და მაინც, ჯერ კიდევ შორს ვართ ამ პრობლემის საბოლოო გადაჭრამდე. ისტორიული ძეგლების ნაწილი შეფი ორგანიზაციების სათანადო ყურადღების გარეშე რჩება.

უდავოა, თუ გვინდა ხვალინდელ დღეში შევაბიჯოთ დაწყებული საქმის წარმატების რწმენის გრძნობით, უწინარეს ყოვლისა, დასახული მიზნის მისაღწევად უნდა დავრაზმოთ ჩვენი ახალგაზრდობა, ყმაწვილი თაობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახალგაზრდა ცვლის აღზრდის სისტემა. აქ წუხილით უნდა აღვნიშნოთ, რომ რაიონში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საკმაოდ ფართო ქსელის მიუხედავად, ჯერ კიდევ დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მასწავლებელთა ნაწილის დაბალი კვალიფიკაციით, სახელმძღვანელოების ნაკლებობით. მართალია, პარტიის რაიკომი ბევრ რამეს აკეთებს აქ ვითარების გასაუმჯობესებლად, კერძოდ, ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლებისა და შესწავლისათვის მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მცირე ტირაჟის გამო ბევრმა მოსწავლემ იგი ვერ იშოვა, სკოლებში არ არის საკმარისი რაოდენობის რუკები და ატლასები, სახალხო განათლების განყოფილების ფილმოთეკაში არ არის შესაბამისი სასწავლო ფილმები.

შეგნებული აქვს რა რაიონის წინაშე მდგომი პრობლემების აქტუალურობა, რაიკომი სავსებით დასაბუთებულად მიიჩნევს, რომ მათი გადაჭრის გზაა, უწინარეს ყოვლისა, კადრების გულმოდგინე შერჩევა და განაწილება. აქ მთავარი დასაყრდენი გახდა საზოგადოებრივი აზრი, განსაკუთრებით ხელმძღვანელი მუშაკების დაწინაურების დროს. ამასთან მთავარ კრიტერიუმებად რჩება საქმიანი თვისებები, პატიოსნება, ეროვნული იდეალების ერთგულება, ადამიანების საჭიროებისა და საზრუნავისადმი კეთილმოსურნე დამოკიდებულება. პარტიის რაიკომი ყოველთვის ითვალისწინებს მრჩეველთა საბჭოს აზრს, რომელიც შეიქმნა სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომთან. იგი ერთიანებს მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საუკეთესო წარმომადგენლებს, იმათ, ვისიც სწამთ და ვისაც ენდობიან ხოფლად.

მართალია, პარტიის ყვარლის რაიკომის საქმიანობაში პოზიტიური ძვრები აშკარაა, მაგრამ მათი გაანალიზებისას ბიურომ ყურადღება გაამახვილა ხარვეზებზეც. კერძოდ, აღინიშნა, რომ რაიკომმა, რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს მიეღწიათ იდეურ-აღმზრდელობითი და პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობის ყველა ფორმისა და საშუალების ქმედითი გამოყენებისათვის. ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, რომლებიც მოქმედებენ ძველებურად, თავს არიდებს ახალგაზრდობასთან დისკუსიებს მომწიფებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული პრობლემების გამო, არასაკმარისად გამოიყენება კონკრეტულ საქმეებში მშრომელების, ახალგაზრდობის გაზრდილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა. დიდ ყურადღებას მოითხოვს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მათ საქმიანობაში სუსტად არის ასახული მოსახლეობის ინტერესები და მოთხოვნილებანი.

— განსახილველი საკითხი სცილდება ერთი კონკრეტული რაიონის ფარგლებს, — აღინიშნა ბიუროს სხდომაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. გურგენიძემ, — მასში აისახა ეროვნული განვითარების კონცეფციის რეალიზაციის პროცესის ძირითადი მხარეები. მისი განხორციელება დამოკიდებულია არა მარტო ცენტრის მეცადინეობაზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ დგას საქმე ყოველ რაიონში, ქალაქში, შრომითს კოლექტივში, დამოკიდებულია ყველაზე, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ინტერესები. ეს პრინციპული საკითხია. ადგილობრივი პრობლემების პრიზმით ცენტრმა უნდა შეიმუშაოს სტატეგია, რომელიც ადგილებზე უნდა გადაიცეს პრაქტიკული მოქმედების ტაქტიკად. ამავე დროს ყოველი ადგილობრივი პრობლემა უნდა მივიჩნიოთ საერთო-რესპუბლიკურ პრობლემად, მრავალი გლობალური პრობლემა კი უნდა წყდებოდეს რაიონის და სოფლის დონეზე. აქ დიალექტიკური ურთიერთკავშირია და თითოეული უნდა კისრულობდეს თავის წილ პასუხისმგებლობას საერთო საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

— ეს რომ სავსებით შესაძლებელია, მოწმობს ყვარლის რაიონის მაგალითი. აქ საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის რეალიზაციისათვის მუშაობა რაიონული რგოლის საქმიანრბის უმნიშვნელოვანესი მიმართულება გახდა, — თქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგემ ნ. საჯაიამ. — ვფიქრობთ, რომ ყვარლელთა გამოცდილება ფართოდ უნდა გავრცელდეს რესპუბლიკაში. მანვე აღნიშნა, რომ უფრო გაბედულად უნდა ვეუწოდოთ საგნებს თავისი სახელი. ახლო წარსულში, ყვარლის რაიონში იყო არა მიწის ნაკვეთების მიტაცება, არამედ ნამდვილი გაყიდვა და, იშიდი ვიქნნიოთ, ამ სამარცხვინო მოვლენას ბოლო მოეღო.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ჭითანავას გამოსვლა გაისმა არა როგორც საყვედური, არამედ როგორც სურვილი:

— რაიონში საკმაოდ აქტიურად არ იღვწიან ახალი, დროის მოთხოვნათა შესაბამისი დარგობრივი სტრუქტურის, მეურნეობრიობის ახალი მეთოდების, ეკონომიკის განვითარების ახალი მოდელის შემუშავებისათვის, მაგრამ სწორედ აქ არის თავმოყრილი შეუნელებელი წინსვლის უზარმაზარი რეზერვები და შესაძლებლობები, პროგრესის ბაზა, რაიონული პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მომდევნო ეტაპზე საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მაქსიმალურად უნდა მოახმარონ თავიანთი მეცადინეობა ამ უბანს.

განხილვის შედეგების შეჯამებისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გუშბარიძემ თქვა:

— ეროვნული განვითარების კონცეფციის განხორციელებისათვის მუშაობის პროცესში ეკონომიკური პრობლემატიკა პირველ პლანზე უნდა იდგეს. ყვარლელთათვის ეს არის სასოფლო-სამეურნეო წარმოება, გჯდამმუშავებელი სფერო. რაიონი ამ თვალსაზრისით მდიდარი პოტენციალის მქონეა. და თუ იგი შეძლებს თავის მეშაობის ორგანიზაციაში დაეყრდნოს ახალ ფორმებს, მნიშვნელოვან შედეგებს უნდა მოველოდეთ. არ უნდა დავკარგოთ კონცეფციაში ჩადებული უპირატესობანი, რომლებიც გამოიხატება ეროვნული განვითარების საკითხებისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემების უარეყვეი ერთიანობით, მათი ოპტიმალური და მოთბოვნილებანი. სასინარულოა, რომ პარტიის რაიკომმა, რაიონულმა საბჭომ, იდეოლოგიურმა სფერომ იპოვეს თავიანთი ადგილი, თავიანთი პოზიცია, შეუუდგნენ მოსახლეობისათვის საჭირბოროტო პრობლემების კონკრეტულ და მიზანდასახულ მხარდაჭერას, კონკრეტული ვითარებიდან, რაიონის კონკრეტული სპეციფიკიდან გამომდინარე, გაურკვნენ ეროვნული განვითარების კონცეფციაში. ნათლად ჩანს საზოგადოების სხვადასხვა ფენის დიალოგის შედეგები. დიალოგი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ტაბილიზაციის უტყუარი საშუალებაა, რადგან იგი ემსახურება სრულ და ობიექტურ ურთიერთინფორმირებულობას, როცა ხდამინებმა იციან, თუ რა ხდება ირგვლივ. სულ ცოტა ხნის წინათ ხომ ყვარლის რაიონშე იყო ვნებათაღელვა, უკიდურესად გამწვავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება. ვფიქრობთ, რომ ის საქმიანი და კეთილმოსურნე ატმოსფერო, რომელიც ახლა დამყარდა რაიონში, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით, რომ ადამიანები არიან რაიკომის, რაიაღმასკომის საქმეთა კურსში, იციან, თუ რა კეთდება მათთვის, მათი კეთილდღეობისათვის. სწორედ ამით არის გამოწვეული მხარდაჭერაც. ბევრს აკეთებს ამ თვალსაზრისით რაიონული გაზეთი, რომელიც იგი ფართოდ, მოფიქრებულად, ობიექტურად და დასაბუთებულად აწვდის ხალხს ინფორმაციას — პოზიტიურ პროცესებზე, აგრეთვე რაიონში წამოჭრილ პრობლემებზე, ამით ანელებს მათ სიმწვავეს. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, რომლებსაც პრაქტიკულ, საქმიან საფუძველზე ხალხს კონსოლიდაციის უფრო ფართო შესაძლებლობები აქვთ.

ბიუროს სხდომაზე ყვარლის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილების განხილვასან წამოიჭრა თანამდევი საკითხები, რომლებიც გასცდა რაიონის ფარგლებს, მრავალ მათგანს მაშინათვე გასცეს პასუხი, ცალკეულ საკითხებზე მიეცათ შესაბამისი დავალებები.

ერთსულოვანი აზრი: ყვარლის გამოცდილება საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ რაიონულ რგოლს ხელეწიფება დაძლიოს სიძნელეები, თუ არის სწორადა ერთიანობისადმი მიზნებსა და მოქმედებაში, თუ ყველა ხელმძღვანელი ნამდვილად და საქმიანად იქნება ხალხის გვერდით.

თ. ოსეფაშვილის ინტერვიუდან ბიუროს სხდომის შემდეგ:

— ბიურომ ძირითადად მოიწონა ჩვენი მუშაობა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს სამომავლო ავანსია, ჩვენ მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადავდგით. დღეს, განახლების უაღრესად რთულ და პასუხსაგებ ეტაპზე, ჩვენი პარტიის რაიკომის მუშაობა მიზნად ისახავს რაიონის მთელი ჯანსაღი ძალების კონსოლიდაციას მწვავე სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნულ-კულტურული, დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების ერთობლივი გადაჭრის საფუძველზე. წარმატება მთლიანად იქნება დამოკიდებული ყველა რანგის ხელმძღვანელის მობილურობასა და პატრიოტულ სულისკვეთებაზე, მიღებულ გადაწყვეტილებათა პრაორდინარულობაზე, კონკრეტულ, პრაქტიკულ საქმეებზე, საზოგადოებრივი ინტერესების უზენაესობაზე, ჩვენი მშრომელების, ახალგაზრდობის მხარდაჭერაზე. ჩვენი ძალა ხომ ერთობაშია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდენტრი.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის მოლაპარაკება

ვაშინგტონი, 4 ივნისი (საკადრის სპეც. კორ.). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების კემპ-დევიდის საგარეუბნო რეზიდენციაში ყოფნისას, სადაც გაგრძელდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრა, მ. ს. გორბაჩოვმა და ჯ. ბუშმა განიხილეს საერთაშორისო უშიშროების ფართო წრის პრობლემები, უწინარეს ყოვლისა, რეგიონალური საკითხები. მოლაპარაკების ცენტრში იყო ავღანეთი, კამბოჯა, კუბა, ნიკარაგუა, სალვადორი, ინდოეთი და პაკისტანი და ახლო აღმოსავლეთი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის პრეზიდენტის სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართა ვაშინგტონსა და მოსკოვში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კულტურულ-საინფორმაციო ცენტრების შექმნის, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბაჟო სამსახურების თანამშრომლობის, აგრეთვე ჟურნალების „სოვიეტ ლაიფსა“ და „ამერიკის“ ტირაჟის გაზრდის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებათა ხელმოწერა.

ორი სახელმწიფოს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაფართოების მიმართულებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი გახდა შეთანხმებანი, რომლებსაც სსრ კავშირის საელჩოში ხელი მოაწერეს ამერიკის საქმიანი წრეებისა და მთელი რიგი საბჭოთა სამინისტროების „წარმომადგენლებმა. მათ განეკუთვნება, კერძოდ, შეთანხმება აეროპორტში ნავთობგაზის საბადოს დასამუშავებლად, „შეერთ ოვერსისის“ კორპორაციასთან ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ, აგრეთვე მორიგება უახლოეს წლებში კორპორაცია „იბმ ეორლდ ტრეიდის“ მიერ საბჭოთა სკოლებისათვის 13 ათასი პერსონალური კომპიუტერის მიწოდების შესახებ.

დადგა ვაშინგტონის. უმაღლესი დონის შეხვედრის ბოლო სამუშაო დღე. ავტომანქანა, რომელშიც სსრ კავშირის პრეზიდენტი ზის, უახლოვდება თეთრ სახლს. ახლომდებარე ქუჩები ხალხით არის სავსე. იმისათვის, რომ მადლობა უთხრან მ. ს. გორბაჩოვს ორ ქვეყანას შორის ნდობის განმტკიცების ძალისხმევისათვის, უსურვონ გზა მშვიდობისა, მოვიდნენ აქ ვაშინგტონელები, უმაღლესი დონის შეხვედრისადმი ამერიკელთა სიმპათიები დღითი დღე იზრდებოდა იმის კვალობაზე, თუ როგორ ცხადყოფდნენ ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელები მზარდ სურვილს შემხვედრი ნაბიჯებისადმი.

მ. ს. გორბაჩოვმა და ჯ. ბუშმა თეთრ სახლში მოაწყვეს ერთობლივი პრესკონფერენცია.

უკან დარჩა მოლაპარაკების ოთხი დღე, რომელიც მსოფლიო პრესამ XX საუკუნის უდიდეს მოვლენათა რანგს მიაკუთვნა.

„მიხეილ სერგის ძევ, რა გრძნობებით ტოვებთ ვაშინგტონს?“ „ჩვენთეს საკდესის კორესპონდენტებმა სსრ კავშირის პრეზიდენტს. მ. ს. გორბაჩოვმა უპასუხა — „კარგი გრძნობით, იმ გრძნობით, რომ კარგად ვიმუშავეთ“.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის პრეზიდენტის სახელმწიფო ვიზიტის განგრძობა იქნება მისი მოგზაურობა ქვეყანაში. იგი ეწვევა მინეაპოლისსა და სან-ფრანცისკოს.

* * *

სან-ფრანცისკო, 5 ივნისი. (საკადრის სპეც. კორ.). კალიფორნიელთა დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განმტკიცებას და გამოთქვამს რწმენას, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის პოლიტიკა ხელს უწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს. ასეთია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მთავარი დასკვნა, რომლის შედეგები ორშაბათს პირველ გვერდზე გამოაქვეყნა გაზეთმა „სან-ფრანცისკო ქრონიკლმა“. კალიფორნიელთა დაახლოებით 70 პროცენტი ასაკის, ქონებრივი მდგომარეობის თუ პოლიტიკური სიმპათიების მიუხედავად, მხარს უჭერს სსრ კავშირთან საქმიანი ურთიერთობის გაფართოებას და ამერიკის კაპიტალდაბანდებათა ზრდას.

ამერიკის მიწა-წყალზე მ. ს. გორბაჩოვის ყოფნის უკანასკნელ დღეს საკდესის კორესპონდენტები საკუთარი თვალით დარწმუნდნენ ამ. მიუკერძოებელი სოციოლოგიური ანალიზის სისწორეში. ეს დაიწყო დილით სტანფორდის უნივერსიტეტში, რომელსაც ეწვევნენ საბჭოთა ხელმძღვანელი და მისი თანმხლები საბჭოთა დელეგაციის წევრები.

...უნივერსიტეტის ცენტრალური კომპლექსის შიდა ეზოში შესასვლელთან მ. ს. გორბაჩოვს გულთბილად მიესალმნენ უნივერსიტეტის პრეზიდენტი დონალდ კენედი და ჰუვერის ინსტიტუტის პროფესორი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი. საბჭოთა სტუმრები მიიწვიეს სტანფორდის სამხატვრო მუზეუმის ექსპოზიციის დასათვალიერებლად, სადაც ცნობილ მხატვართა და მოქანდაკეთა ნაშუშევრებთან ერთად გამოფენილია სტუდენტთა სურათები, პლასტიკური კომპოზიციები და ორიგინალური არქიტექტურული პროექტები. უნივერსიტეტის ახალგაზრდა მხატვრებმა ს. შუმანმა და ჯ. სანნერმა თავიანთი სურათები „სამყაროს შექმნა“ და „მშვიდობის მოციქულები“ საბჭოთა პრეზიდენტს საჩუქრად გადასცეს მუზეუმის დათვალიერების სახსოვრად.

ჩვენ ვცდილობთ სტუდენტებს განვუვითაროთ იმის უნარი, რომ მსჯელობდნენ, გლობალურად აზროვნებდნენ, ესმოდეთ, რამდენად ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია თანამედროვე სამყარო, როგორ ღრმავდება მასში ინტეგრაციული პროცესები, რაც საჭიროა მომავალში კაცობრიობის წინაშე მდგომი გლობალური პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტისათვის, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში დონალდ კენედიმ. ამ თვალსაზრისით ისეთი გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის ჩვენთან ჩამოსვლა, როგორიც პრეზიდენტი გორბაჩოვია, არა მარტო დიდი პატივია ყველა ჩვენგანისათვის, არამედ უნიკალური შესაძლებლობაცაა ურთიერთობა გვქონდეს ამ კაცთან, რომელსაც მოაქვს ახალი აზროვნებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და ინტერესების პრიორიტეტის იდეები.

მ. ს. გორბაჩოვსა და მის თანმხლებ პირებს უნივერსიტეტის ქალაქში უხდებოდათ ლამის გაერღვიათ მეგობრული ხელის ჩამორთმევის, მოკლე ინტერვიუების, დაინტერესებული კითხვების „კედელი“. წამდაუწუმ იყო შეხვედრები — სტიქიური და წინასწარ დაგეგმილიც. უაღრესად საინტერესო იყო უნივერსიტეტის მასწავლებლებთან მ. ს. გორბაჩოვის საუბარი, რომელიც ეხებოდა ახალგაზრდობისთვის საწუხარ საკითხებს, საზოგადოების ინტელექტუალურ პოტენციალს, იმას, რომ უმაღლესი სასწავლებლების კურსდამავრებულთათვის საკმარისი არ არის იყენენ მარტოოდენ კარგი სპეციალისტები თავიანთი ცოდნის ვიწრო სფეროში, არამედ საჭიროა აგრეთვე იქონიონ ფართო თვალსაზრისი სიმძლავრით ამუშავების დროს რომ უნდა გადაახდევინონ. ეს კი ხოლიდური თანხაა — წელიწადში "894 ათას მანეთზე მეტი. შარშან ხაწარმო ხანახეგროდაც არ იყო დაკვირთული, ამას ემატება ხშირი წყვეტა. ელექტროენერგიის მიწოდებაში. „ნარინჯის“ დირექციამ თხოვნით მიმართა „წყალკანალტრესტს“ გადაეხედა ამ საკითხისთვის, მაგრამ ტრესტის მესვეურებს ამის გაგონებაც არ სურთ, იმუქრებიან, ქალაქს წყალი ისედაც არ მყოფნის, შეიძლება, სულაც გამოგითიშოთო.

ეს რა გამოსავალია? „წყალკანალტრესტის“ ხელმძღვანელობას შევახსენებთ, რომ „ნარინჯი“ ვინმეს კერძო დუქანი კი არა, სახელმწიფო საწარმოა, რომელიც, სხვათა შორის, თავის პროდუქციის უზარმაზარ ქვეყნის ათობით ხაკვერო ორგანიზაციას და რეპუბლიკაში შემოაქვს მილიონობით მანეთი.

მიხეილ გორგაძე.
„კომუნისტის“ სპ. კორ.

პროგნემა და პერსპექტივა

საწარმოს დახმარება სჭირდება

აპარა ციტრუსების მთავარი დამამზადებელია საქართველოში. აქ მოდის რეპუბლიკაში წარმოებული ციტრუსის ნახევარზე მეტი. მაგრამ რადგან ციტრუსი ძირითადად შემოდგომის მიწურულს და თანაც მოკლე დროში აკრეფება, პროდუქციის ტრანსპორტირებაში იქმნება მრავალი ხიძნელე. ამას ისიც ემატება, რომ მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით ქვეყნის ალმოსავლეთი რაიონების მცხოვრებთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვიტამინნაჭამიანი ნაყოფის, ჟელეების, ფურცლებისა და სხვა სახის პროდუქციის მიწოდებას. ამ ამოცანად დღის ნესრიგში დაიყენა ხუბტროპიკულ ზონაში საკონსერვო მრეწველობის საწარმოთა აშენების საკითხი.

ერთ-ერთ ასეთ ქარხანას საფუძველი ჩაეყარა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ანგიხაში. მას დაერქვა „ნარინჯი“. იგი ალიკურვა სამეულო და იტალიური ფირმის „ხერტიეის“ მეკანიზმებით. საწარმომ პირველი პროდუქცია ხუთი წლის წინათ გამოუშვა. მაშინ ამოქმედდა ქარხნის პირველი რიგი. პროდუქციის გამოშვების პარალელურად გრძელდებოდა მშენებლობა. ხაეტსლოატაციოდ გადაეცა კონცენტრატების და მეკანიკური ხაამქრო, ტარის საწყობი, რკინიგზის ჩიხი და სხვა დამხმარე ნაგებობები.

ახე რომ, დღეისათვის ქარხანაში სიმძლავრეები მხოლოდ 60 პროცენტითაა ამუშავებული. ეს გაანგარიშებულია წელიწადში 16 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამუშავებისა და 27 მილიონი პირობითი ქილა კონსერვის გამოშვებაზე.

ეს უკეთესი რიდია, მიმდინარე ხუთწლედისათვის უნდა დამთავრებულიყო 6500 ტონა ტევადობის მაცივრის მშენებლობა. მაცივარს საწარმოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მასში უნდა შეინახონ როგორც ნაყოფი, ისე წვენები და სხვა პროდუქცია. ტექნოლოგიურად შენახული ნაყოფი ახანგრძლივებს საწარმოს დატვირთვას. მაგრამ მაცივრის შენებლობა ფაქტობრივად შეჩერებულია თანხების უქონლობის გამო. აქამდე შერულებულია 350 ათასი მანეთის ხამშენებლო-ხამონტაჟო ხამუშაოები. აუთვისებელია 2 მილიონ 55 ათასი მანეთი. ყველაზე ხაგანგაშო კი ის არის, რომ ქარხანას მიღებული აქვს 635 ათასი მანეთის მანქანა-დანადგარები, რომლებიც ღია ცის ქვეშ აწყვია და რა თქმა უნდა, ზიანდება. თუ საქართველოსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირში მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ

პენსიების გამოანგარიშება

მუხლი 76. პენსიების გამოანგარიშება პროცენტობით საშუალო თვიურ ხელფასთან შედარებით

პენსიები გამოიანგარიშება დადგენილი ნორმებით პროცენტობით ამ კანონის 77-83-ე მუხლების შესაბამისად განსაზღვრულ საშუალო-თვიურ ხელფასთან შედარებით, რომელსაც მოქალაქენი იღებდნენ პენსიისათვის მიმართვის წინ.

ამასთან, პენსიის გაანგარიშებისათვის მიიღება გამომუშავება, რომლის თანხა არ უნდა აღემატებოდეს მინიმალური ხელფასის ათეზის ოდენობას. გამომუშავების ის ნაწილი, რომელიც არ აღემატება მინიმალური ხელფასის ოთხზის ოდენობას, მთლიანად იქნება გათვალისწინებული პენსიის დანიშვნისას. გამომუშავების ყოველი შემდგომი ნაწილი გათვალისწინებულ იქნება შემდეგი ოდენობით: ხელფასის მეხუთე მინიმუმის ფარგლებში — 85 პროცენტი, მეექვსე — 70 პროცენტი, მეშვიდე — 55 პროცენტი, მერვე — 40 პროცენტი, მეცხრე — 25 პროცენტი, მეათე — 15 პროცენტი. ამრიგად მიღებული გამომუშავება ითვლება გამომუშავებად, საიდანაც გამოანგარიშებულ იქნა პენსია.

მუხლი 77. საშუალო თვიური გამომუშავების განსაზღვრის ზოგადი წესი

ამ კანონის მე-3 მუხლში აღნიშნული პირებისათვის (კოლმეურნეობის წევრთა გარდა) საშუალო თვიური ფაქტობრივი გამომუშავება პენსიის გამოსაანგარიშებლად აიღება ზედიზედ ყოველი 5 წლისათვის (პენსიის მთხოვნელის არჩევანით) შუშაობის უკანასკნელი 15 წლისაგან პენსიისათვის მიმართვის წინ, მუშაობაში არსებული ყვავილების მიუხედავად.

5 წლის მანძილზე საშუალო თვიური გამომუშავება განისაზღვრება იმ გზით, რომ ზედიზედ 60 კალენდარული თვის მუშაობის მანძილზე მიღებული გამომუშავების საერთო თანხა (მუშაობის უკანასკნელი 15 წლის ფარგლებში) იყოფა სამოცზე. ამასთან, პენსიის მთხოვნელის სურვილისამებრ საშუაზრი მიღებასთან ან განთავისუფლებასთან დაკავშირებით სამუშაო დღეების არასრული რიცხვის მქონე თვეები მხედველობაში მიიღება როგორც მუშაობის სრული კალენდარული თვეები.

იმ შემთხვევებში, როდესაც პენსიის მთხოვნელმა იმუშავა 5 წელიწადზე ნაკლებ ხანს, საშუალო თვიური გამომუშავება განისაზღვრება შუშაობის კალენდარულ თვეებში მიღებული გამომუშავების საერთო თანხის გაყოფით ამ თვეების რიცხვზე.

თუ მუშაკმა ერთ კალენდარულ თვეზე ნაკლები იმუშავა, მაგრამ მთელ ნამუშევარ დროში მიღებული გამომუშავება აყოფა ამუშავები დღეების რიცხვზე და მიღებული თანხა მრავლდება საშუალო წელიწადში გამოანგარიშებულ თვის სამუშაო დღეების რიცხვზე (25,4-ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს და 21,2 — ხუთდღიანი სამუშაო კვირის დროს). ამ შემთხვევაში პენსიის გამოსაანგარიშებლად მხედველობაში მიიღება არა უმეტეს ორი სატარიფო განაკვეთისა (სარგოსი). ასეთივე ოდენობით მიიღება მხედველობაში ის მუშაკთა ფაქტობრივი გამომუშავება, რომელთა სამუშაო დროის აღრიცხვა ვერ ხერხდება. ასეთ მუშაკთა ნუსხას განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სეზონურ სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკთა პენსიების დანიშვნის დროს საშუალო თვიური ფაქტობრივი ხელფასი განისაზღვრება 5 სრული სეზონის ხელფასის სამოცზე გაყოფის გზით.

მუხლი 78. პენსიის გამოანგარიშების დროს გასათვალისწინებელი შრომის ანაზღაურების სახეობები

პენსიის გამოსაანგარიშებლად გამომუშავებაში შედის ყველა სახეობის შრომის ანაზღაურება, რომლებზეც მოქმედი წესებით დაერიცხება სადაზღვევო შენატანები, შრომის ანაზღაურების მოქმედი სისტემით განუპირობებელი ერთდროული ხასიათის გადასახდელების გარდა (კომპენსაცია გამოუყენებელი შვებულებისათვის, გასასვლელი დახმარება და სხვა), რომელთა ნუსხა მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით. ამასთან, შეთავსებისათვის შრომის ანაზღაურება მხედველობაში მიიღება ამ პირობით, თუ ძირითად სამუშაოზე გამომუშავებასთან ერთად იგი არ აღემატება მინიმალური ხელფასის ოთხგზის ოდენობას შესაბამის შემთხვევებში დადგენილი რაიონული კოეფიციენტების მინიმალურ ხელფასთან შეფარდებით.

პენსიის გამოსაანგარიშებლად გამომუშავებაში შედის შესაბამისი პერიოდებისათვის მიღებული ყველა ის ანგარიშსწორებანი, რომელთა სამუშაო დროის აღრიცხვა ვერ ხერხდება. ასეთ მუშაკთა ნუსხას განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 79. კოლმეურნეობის წევრთა საშუალო თვიური გამომუშავების განსაზღვრის წესი.

კოლმეურნეობის წევრთა საშუალო თვიური ფაქტობრივი გამომუშავება პენსიის გამოსაანგარიშებლად აიღება ნებისმიერი 5 წლისათვის ზედიზედ (პენსიის მთხოვნელის არჩევანისამებრ) პენსიის დანიშვნამდე მიმართვამდე მუშაობის უკანასკნელი 15 წლიდან.

5 წლის საშუალო თვიური გამომუშავების განსასაზღვრავად კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობის 60 კალენდარული თვის მანძილზე მუშაობისათვის გამომუშავების საერთო თანხა (მუშაობის უკანასკნელი 15 წლის ფარგლებში) გაიყოფა სამოცზე.

იმ შემთხვევებში, როდესაც პენსიის მთხოვნელი 5 წელიწადზე ნაკლებ ხანს იყო კოლმეურნეობის წევრი, პენსია უნანგარიშდება კოლმეურნეობაში ყოფნის მთელი დროის მანძილზე საშუალო თვიური ფაქტობრივი გამომუშავებიდან. ამასთან საშუალო თვიური გამომუშავების განსასაზღვრავად შესაბამისი პერიოდის საერთო გამომუშავება გაიყოფა ამ პერიოდის თვეების რიცხვზე.

მუხლი 80. კოლმეურნეობის წევრთა შრომის ანაზღაურების სახეობანი, რომლებიც მხედველობაში მიიღება პენსიის გამოანგარიშების დროს

კოლმეურნეობის წევრთა პენსიის გამოსაანგარიშებლად გამომუშავებაში შედის კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობისათვის ყველა სახეობის ანაზღაურება.

მუხლი 81. გამომუშავების შეჯამება

თუ იმ პერიოდის ნაწილი, რომლის მიხედვითაც იანგარიშება საშუალო თვიური გამომუშავება, მოდის კოლმეურნეობის წევრად მუშაობაზე, ხოლო ნაწილი — სხვა სამუშაოზე, მაშინ გამომუშავება ყოველი პერიოდისათვის მხედველობაში მიიღება იმ წესების მიხედვით, რომლებიც დადგენილია შესაბამისად კოლმეურნეობის წევრებისა და სხვა პირებისათვის. ამ შემთხვევაში გამომუშავების საერთო თანხა იყოფა სამოცზე ან შესაბამისად მუშაობის აღნიშნული პერიოდების თვეების ფაქტობრივ რიცხვზე, თუ ამ თვეების რიცხვი სამოცზე ნაკლებია.

მუხლი 82. შემოქმედებითი კავშირების წევრთა პენსიის გამოანგარიშება

შემოქმედებითი კავშირების წევრთა და ამ კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულ სხვა პირთა პენსია იანგარიშება სახელმწიფო განაკვეთებით გაანგარიშებული საავტორო ჰონორარიდან, პენსიის დასანიშნად მიმართვის წინ უკანასკნელი 15 წლის შემოქმედებითი მოღვაწეობის ზედიზედ ყოველი 5 წლიდან.

ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული პირებისათვის, თუ ისინი ერთდროულად მუშაობენ საწარმოებში ან ორგანიზაციებში, პენსიის გამოსაანგარიშებლად მხედველობაში მიიღება შესაბამისი პერიოდისათვის ან საავტორო ჰონორარი, ანდა გამომუშავება. მაგრამ თუ საწარმოსა ან ორგანიზაციაში მუშაობისათვის მიღებული გამომუშავება ვერ აღწევს მინიმალური ხელფასის ოთხგზის ოდენობას, მაშინ გამომუშავებასთან ერთად მხედველობაში მიიღება საავტორო ჰონორარის თანხები, რომელზეც ირიცხება სადაზღვევო შესატანი მინიმალური ხელფასის ოთხგზისი ოდენობის ფარგლებში.

მუხლი 83. შეღავათები გამომუშავების გამოანგარიშებისას

საშუალო თვიური გამომუშავების გამოანგარიშებისას ამ კანონის 76, 77, 79 და 82 მუხლების შესაბამისად პენსიის მთხოვნელის სურვილისამებრ 15 წლის პერიოდში არ შედის მუშაობის ის დრო, რომლის განმავლობაშიც იგი საექმო შრომით საექსპერტო კომისიის დასკვნის თანახმად ინვალიდი იყო ან იღებდა ანაზღაურებას სახიჩრობით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით მიყენებული ზარალისათვის, უვლიდა I ჯგუფის ინვალიდს. ან 16 წლამდე ასაკის ინვალიდ ბავშვს, აგრეთვე 80 წლის ასაკს მიღწეულ ღრმად მოხუცებულს, ან იყო შვებულებაში მცირეწლოვანი ბავშვების მოვლის გამო.

მუხლი 84. პენსიის გამოანგარიშება მუშაობის არასრული სტაჟის დროს

მუშაობის არასრული სტაჟის დროს (21-32-ე და 49 მუხლები) პენსიები ინიშნება არსებული სტაჟის პროპორციული ოდენობით.

პენსიის გამოანგარიშება წარმოებს შემდეგნაირად: ჯერ განისაზღვრება შესაბამისი სრული პენსია, ეს პენსია იყოფა მუშაობის საჭირო სრული სტაჟის თვეების რიცხვზე, მიღებული თანხა მრავლდება მუშაობის არსებული ფაქტობრივი სტაჟის თვეების რიცხვზე (ამ სტაჟში 15 დღეზე მეტი ხნის პერიოდი დამრგვალდება სრულ თვემდე, ხოლო 15 დღემდე პერიოდი, ჩათვლით, მხედველობაში არ მიიღება).

თუ პენსია სრული სტაჟის დროს ეკუთვნოდა ამ კანონით დადგენილი მინიმალური ოდენობით (20, 31 და 47 მუხლები), მაშინ პენსია არასრული სტაჟის დროს ინიშნება არსებული სტაჟის პროპორციულად პენსიის მინიმალური ოდენობიდან გამომდინარე, მაგრამ ყველა შემთხვევაში არანაკლებ იმ სოციალური პენსიის ოდენობისა, რომელიც დაწესებულია შესაბამისი კატეგორიის შრომისუუნარო პირებისათვის (მუხლი 120).

მუხლი 85. პენსიის გადაანგარიშება უმტესი გამომუშავებიდან

პენსიონერებს, რომლებმაც ასაკობრივი ან ინვალიდობის პენსიის დანიშვნის შემდეგ იმუშავეს სულ ცოტა 2 წელიწადს უფრო მეტი გამომუშავებით იმასთან შედარებით, საიდანაც გამოუანგარიშდათ პენსია, პენსიონერს განცხადების თანახმად უფლდება პენსიის ახალი ოდენობა უფრო მეტი გამომუშავებიდან გამომდინარე, რომელიც განისაზღვრება ამ კანონის 76, 83 მუხლების შესაბამისად პენსიების გადასაანგარიშებლად მიმართვის წინ მუშაობის უკანასკნელი 5 წლიდან.

ამავე პირობებით წარმოებს იმ პენსიის გადაანგარიშება, რომელიც მინიმალური ოდენობით დანიშნა გამომუშავების უქონლობის გამო.

პენსიონერის გამომუშავების შემდგომი ზრდის შემთხვევაში მისი განცხადების თანახმად წარმოებს პენსიის ახალი გადაანგარიშება. პენსიის ყოველი მომდევნო გადაანგარიშება წარმოებს არა უადრეს 2 წლისა წინა გადაანგარიშების შემდეგ.

მუხლი 86. პენსიის გადაანგარიშება მუშაობის არასრული სტაჟის დროს

თუ პენსიონერმა, რომელსაც არასრული სტაჟის დროს დაენიშნა ასაკობრივი ან 1-ლი თუ მე-2 ჯგუფის ინვალიდობის პენსია, პენსიის დანიშვნის შემდეგ იმუშავა სულ ცოტა 2 წელიწადს, მაშინ მისი განცხადების საფუძველზე წარმოებს პენსიის გადაანგარიშება იმ სტაჟიდან გამომდინარე, რომელიც აქვს გადაანგარიშების დროისათვის. პენსიის ყოველი მომდევნო გადაანგარიშება წარმოებს წინა გადაანგარიშებიდან არაუადრეს მუშაობის 2 წლის შემდეგ.

თუ პენსიონერი მუშაობას განაგრძობდა და დაავადება სრული პენსიის დასანიშნად საკმარისი სტაჟი, მაშინ პენსიონერის განცხადების თანახმად წარმოებს პენსიის შესაბამისი გადაანგარიშება მიუხედავად იმისა, თუ რა დრო გავიდა არასრული სტაჟის დროს პენსიის დანიშვნის შემდეგ. ამასთან ინვალიდობის სრული პენსია დაიწესებდა იმ პირობით, თუ პენსიონერს აქვს სტაჟი, რომელიც საკმარისია სრული პენსიის დასანიშნად პენსიონერის ასაკის შესაბამისად ინვალიდობის დადგომის დროისათვის (მუხლი 27).

პენსიის გადაანგარიშება წარმოებს პენსიონერის არჩევანისამებრ იმ გამოშუშავებიდან საიდანაც თავდაპირველად დაენიშნა პენსია (ან შემდგომ გადაანგარიშდა ამ კანონის 85 მუხლით გათვალისწინებული წესით), ანდა უკანასკნელი გამომუშავებიდან.

მუხლი 87. გამომუშავებაში შრომის ნატურალური საზღაურის შეტანა

კოლმეურნეობის, სხვა კოოპერატივების წევრების, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების მუშაკებისათვის, რომლებიც ფულადთან ერთად იღებენ ნატურალურ საზღაურს, რომლის ღირებულებაზე დარიცხება სადაზღვევო შესატანი, ეს ნატურალური საზღაური სამუშაო თვიური გამომუშავების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება იმ პერიოდის სახელმწიფო საცალო ფასების მიხედვით, როდესაც წარმოებდა შრომის ანაზღაურება.

მუხლი 88. მოსწავლეთა პენსიების გამოანგარიშება

მოსწავლეებს (მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტი), ასპირანტებსა და კლინიკის ორდინატორებს პენსიის გამოანგარიშებისას მათი სურვილისამებრ სწავლის პერიოდში გამომუშავების ნაცვლად შეიძლება ჩაეთვალოთ სტიპენდია.

მუხლი 89. საზღვარგარეთ მუშაობის პერიოდისათვის გამომუშავების გაანგარიშება

სსრ კავშირიდან საზღვარგარეთ სამუშაოდ გაგზავნილ მუშაკთა საშუალო თვიური გამომუშავების გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება ხელფასი, რომელსაც ისინი იღებდნენ საზღვარგარეთ გაგზავნამდე (76-83 მუხლები), ან მათი არჩევანისამებრ, — გამომუშავება, რომელიც განისაზღვრება ამ კანონის 90-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 90. სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებული საბჭოთა მოქალაქეების პენსიის გამოანგარიშება

სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებული საბჭოთა მოქალაქეებისათვის, რომლებსაც სსრ კავშირში არ უმუშავიათ; პენსიის გამოანგარიშება ხდება პენსიის დანიშვნის დროისათვის სსრ კავშირში შესაბამისი პროფესიისა და კვალიფიკაციის მუშაკთა საშუალო გამომუშავებიდან გამომდინარე (შესაბამისი პროფესიული კავშირის მონაცემებით).

მუხლი 91. იმ პირთა პენსიის გამოანგარიშება, რომლებიც ცალკეულ მოქალაქეებთან მუშაობენ

იმ პირებისათვის, რომლებიც ცალკეულ მოქალაქეებთან მუშაობენ ხელმოწერულებით (შინაოსმამსახურეებნი, ძიძები, პიროდი მდივნების, მბეჭდავ-მემანქანეების, ტენოგრაფისტების, ნარაჯების, მებაღეების, მძღოლებისა და სხვებისათვის), პენსიები

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 132.

მუხლი 92. მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიების გამოანგარიშება

მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიების გამოანგარიშებისას გამოიყენება ამ კანონის 76-84, 87-91 და 96-ე მუხლები.

მუხლი 93. პენსიონერთა ოჯახების პენსიების გამოანგარიშება

მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიონერთა ოჯახების პენსია იანგარიშება იმავე გამომუშავებიდან, საიდანაც იქნა გამოანგარიშებული მარჩენლის პენსია.

იმ პენსიონერთა ოჯახებისათვის, რომლებსაც ჰქონდათ პენსიის გადაანგარიშების უფლება ამ კანონის 85 მუხლით გათვალისწინებული წესით, პენსია უნანგარიშდებათ გამომუშავებიდან, საიდანაც იქნა გამოანგარიშებული ან საიდანაც შეიძლებოდა ეანგარიშათ მარჩენლის პენსია.

მუხლი 94. პენსიების მინიმალური ოდენობისა და გამომუშავების ზღვრული ოდენობის მოცატება

პენსიის მინიმალური ოდენობა (20, 31 და 47 მუხლები) და პენსიის გამოსაანგარიშებლად გასათვალისწინებელი გამომუშავების ზღვრული ოდენობა (მუხლი 76), იზრდება მინიმალური ხელფასის ზრდასთან დაკავშირებით. ამასთან ზრდა წარმოებს 1 იანვრიდან, თუ მინიმალური ხელფასის მომატება განხორციელდა 1 ივლისამდე, და მომავალი წლის 1 იანვრიდან, თუ მინიმალური ხელფასით მომატება განხორციელდა 1 ივლისიდან ან უფრო გვიან.

მუხლი 95. ოჯახის წევრები, რომლებსაც ერიცხებათ დანამატები

იმ არამომუშავე პენსიონერებისათვის დაწესებული პენსიების დანამატები, რომლებსაც თავიანთ ოჯახის შრომისუუნარო წევრები, ერიცხებიან ამ კანონის 40, 41, 43 და 44 მუხლებში აღნიშნულ ოჯახის წევრებს. ეს დანამატები არ ერიცხებათ ოჯახის იმ წევრებს, რომლებიც შრომითს ან სოციალურ პენსიას იღებენ.

თუ ოჯახში არის ორი ან მეტი არამომუშავე პენსიონერი, მათს საერთო კმაყოფაზე მყოფი ოჯახის ყოველი შრომისუუნარო წევრი მხედველობაში მიიღება დანამატის დასაბუთებლად მხოლოდ ერთ-ერთი პენსიონერისათვის მათი არჩევნისამებრ.

მუხლი 96. იმ რაიონებში მცხოვრებ პირთა პენსიების გამოანგარიშება, სადაც ხელფასს დაწესებული აქვს რაიონული კოეფიციენტები

იმ რაიონებში მცხოვრები პირებისათვის, სადაც მუშა-მოსამსახურეთა ხელფასს დაწესებული აქვს რაიონული კოეფიციენტები, პენსიების დანიშვნისას მხედველობაში მიიღება რაიონული კოეფიციენტის გამოყენებით გამოანგარიშებული ფაქტობრივი გამომუშავება.

ამასთან ხელფასის ოთხგზისი მინიმუმი და ამ კანონის 76-ე მუხლით გათვალისწინებული გამომუშავების მომდევნო ნაწილები იანგარიშება ასევე რაიონული კოეფიციენტის გამოყენებით, რომლებიც მოცემულ რაიონში დაწესებულია არასაწარმოო სფეროს მუშა-მოსამსახურეებისათვის, მაგრამ არა უმეტეს 1,5 კოეფიციენტისა.

ამ პირთა გადასვლისას რაიონებში, სადაც ხელფასს არა აქვს დაწესებული კოეფიციენტი, პენსია მათი არჩევანისამებრ იანგარიშება ასეთივე წესით, ოღონდ ფაქტობრივი გამომუშავებიდან რაიონული კოეფიციენტების გადასახდელთა გამოკლებით, ანდა ამ კანონის 76-ე და 78-ე მუხლების შესაბამისად გამოანგარიშებული გამომუშავებიდან გამოკლებით.

იმ პირებისათვის, რომლებიც მუდმივ საცხოვრებლად ჩავიდნენ ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ რაიონებში ქვეყნის სხვა რეგიონებიდან, სადაც რაიონული კოეფიციენტები არ არის დაწესებული ან დაწესებულია ნაკლები ოდენობით, გამომუშავება პენსიის გამოსაანგარიშებლად იანგარიშება რაიონული კოეფიციენტის გამოყენების გზით, მოცემულ რაიონში მოქმედი წესების შესაბამისად.

ამ კანონის მიხედვით დასანიშნი პენსიების მინიმალური ოდენობა რაიონებში, სადაც დაწესებულია რაიონული კოეფიციენტები, განისაზღვრება ამ რაიონებში მცხოვრების პერიოდისათვის მოცემულ რაიონში არასაწარმოო დარგების მუშა-მოსამსახურეებისათვის მოქმედი კოეფიციენტის გამოყენებით. რაიონული კოეფიციენტების გამოყენების წესს პენსიების გაანგარიშებისას, აგრეთვე ამ რაიონებიდან გადასვლისას პენსიის გადაანგარიშებას წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 97. პენსიების გადაანგარიშება ოჯახური მდგომარეობის შეცვლასთან, სამუშაოს დაწყებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით

იმ შემთხვევებში, როცა პენსიის დანიშვნის შემდეგ პენსიონერი ოჯახური მდგომარეობის შეცვლასთან დაკავშირებით ანდა სამუშაოს შეწყვეტასთან თუ დაწყებასთან დაკავშირებით იძენს ან კარგავს ოჯახის შრომისუუნარო წევრებისათვის დანამატის უფლებას, ან ამ დანამატის ოდენობა უნდა შეიცვალოს, წარმოების პენსიის შესაბამისი გადაანგარიშება.

მუხლი 98. სსრ კავშირის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისათვის განკუთვნილი პენსიები

საბჭოთა კავშირის გმირებს, სოციალისტური შრომის გმირებს, სამივე ხარისხის დიდების ორდენით, სამივე ხარისხის შრომითი დიდების ორდენით, სამივე ხარისხის „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის“ ორდენით დაჯილდოებულ პირებს, სსრ კავშირის საპატიო წოდებათა მქონე პირებს, აგრეთვე სხვა მოქალაქეებს სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სამეურნეო საქმიანობის დარგში, მეცნიერების, კულტურის, სახალხო განათლების, ჯანდაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მათი ღვაწლის დაფასების ნიშნად შეიძლება დაენიშნოთ პენსია სსრ კავშირის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისათვის.

სსრ კავშირის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისათვის პენსიების დებულებას ამტკიცებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭო.

პენსიების დანიშვნა

მუხლი 99. პენსიის დასანიშნად მიმართვის წესი

მუშების, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის (მარჩენლის დაკარგვის გამო) პენსიის დანიშვნის შესახებ განცხადება შეტანილ უნდა იქნეს უკანასკნელი სამუშაო ადგილის მიხედვით საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ადმინისტრაციის მეშვეობით.

კოლმეურნეობის და სხვა კოოპერატივების წევრებისა და მათი ოჯახებისათვის პენსიების დანიშვნის განცხადება შეტანილ უნდა იქნეს კოლმეურნეობის (კოოპერატივის) გამგეობის მეშვეობით.

ადმინისტრაცია (გამგეობა) პროფკავშირის კომიტეტთან ერთად განცხადების შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში აფორმებს სტაჟისა და გამომუშავების შესახებ საჭირო დოკუმენტებს და შეტანილ განცხადებასთან და თავის წარდგინებასთან ერთად უგზავნის მათ სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებას ან სოციალური უზრუნველყოფის შესაბამის სხვა ორგანოს* განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან მოკავშირე რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ განსაზღვრული წესით, — სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებას საწარმოს ან ორგანიზაციის ადგილსამყოფლის მიხედვით. თუ პენსიის მთხოვნელ მუშაკს უარი ეთქვა პენსიის დასანიშნად წარდგენაზე, ამას აცნობებენ წერილობითი ფორმით, უარის თქმის მიზეზების შეტყობინებით.

იმ შემთხვევებში, როდესაც პენსიის მთხოვნელი არ ეთანხმება ადმინისტრაციის (გამგეობის) და პროფკავშირული კომიტეტის გადაწყვეტილებას პენსიის დასანიშნად მის წარდგენაზე უარის თქმის შესახებ, მას შეუძლია მიმართოს პენსიის დანიშვნის განცხადება უშუალოდ სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებაში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებანი ვალდებულნი არიან მისცენ მოქალაქეებს ახსნა-განმარტება და ცხობები პენსიების დანიშვნის საკითხებზე, აგრეთვე ხელი შეუწყონ განმცხადებელს საჭირო დოკუმენტების მიღებაში.

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს უფლება აქვთ მოსთხოვონ შესაბამისი დოკუმენტები საწარმოებს, ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს, აგრეთვე შეამოწმონ საჭიროების შემთხვევებში მათი გაცემის საფუძვლიანობა.

მუხლი 100. პენსიების დამნიშვნელი ორგანოები

პენსიებს ნიშნავენ პენსიების დამნიშვნელი კომისიები, რომლებსაც ქმნიან სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) ან შესაბამისი საბჭოები*. კომისია იქმნება სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ განსაზღვრული შემადგენლობით. სხვა წევრებთან ერთად კომისიის შემადგენლობაში შეუვანილ უნდა იქნეს სოციალური უზრუნველყოფის რაიონული (საქალაქო) განყოფილების გამგე.

პენსიების დამნიშვნელი კომისიის უფლებამოსილებით მისი სახელით პენსიის დანიშვნა ერთპიროვნულად შეუძლია კომისიის წევრს — სოციალური უზრუნველყოფის რაიონული (საქალაქო) განყოფილების გამგეს. მაგრამ ყველა შემთხვევაში პენსიის მთხოვნელისა და სხვა დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციების წარმოდგენილი პენსიის დანიშვნის საკითხს წყვეტს პენსიების დამნიშვნელი კომისია.

მუხლი 101. პენსიების დანიშვნის შესახებ შემოსული დოკუმენტების განხილვის ვადები

ტენსიების დანიშვნის შესახებ შემოსულ დოკუმენტებს პენსიების დამნიშვნელი ორგანოები (მუხლი 100) განიხილავენ არა უგვიანეს 10 დღისა მათი შემოსვლის შემდეგ.

გადაწყვეტილებას ამ კანონით გათვალისწინებული პირობებისათვის შეუსაბამობის მოტივით პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ ყველა შემთხვევაში იღებს მხოლოდ პენსიების დამნიშვნელი კომისია. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 5 დღის შემდეგ გადასცემს ან უგზავნის საწარმოს, ორგანიზაციას თუ განმცხადებელს შეტყობინებას პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ ყველა შემთხვევაში იღებს მხოლოდ პენსიების დამნიშვნელი კომისია. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 5 დღის შემდეგ გადასცემს ან უგზავნის საწარმოს, ორგანიზაციას თუ განმცხადებელს შეტყობინებას პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ, რომელშიც აცნობებს უარის თქმის მიზეზს, განაჩივრების წესს, და იმავდროულად უბრუნებს ყველა დოკუმენტს.

მუხლი 102. პენსიების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილებათა განხილვა

პენსიების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს სახალხო დეპუტატთა რაიონულ (საქალაქო) საბჭოში ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

მუხლი 103. პენსიების დანიშვნის ვადები

პენსიები ინიშნება პენსიის დასანიშნად მიმართვის დღიდან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც პენსიები ინიშნება უფრო ადრეული ვადიდან:

ა) ასაკობრივი და ინვალიდობის პენსიები ინიშნება საპენსიო ასაკის მიღწევის დღიდან ან საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიის მიერ ინვალიდობის დადგენის შესაბამისად, თუ პენსიის დასანიშნად მიმართვა მოხდა არაუგვიანეს 3 თვისა საპენსიო ასაკის მიღწევის ან ინვალიდობის დადგენის დღიდან;

ბ) პენსიები მარჩენლის დაკარგვის გამო ინიშნება პენსიის მიღების უფლების წარმოშობის დღიდან, ოღონდ არა უმეტეს 12 თვისა პენსიის დასანიშნად მიმართვამდე.

მუხლი 104. დანიშნული პენსიის გადაანგარიშების ვადები

დანიშნული პენსიისგადაანგარიშება წარმოებს შემდეგი ვადებიდან:

პენსიის მომატების უფლების წარმოშობისას — იმ თვის პირველი რიცხვიდან, რომელშიც პენსიონერმა მიმართა პენსიის გადასაანგარიშებლად, თუ შესაბამისი განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტითურთ შეტანილი აქვს 15 რიცხვამდე ჩათვლით, და მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტითურთ შეტანა 15 რიცხვის შემდეგ;

პენსიის შემცირების გამომწვევ გარემოებათა დადგომისას, — იმ თვის პირველი რიცხვიდან, რომელშიც დადგა ეს გარემოებანი, თუ მათ ადგილი ჰქონდა 15 რიცხვამდე ჩათვლით, და მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ მათ ადგილი ჰქონდა 15 რიცხვის შემდეგ.

ამ კანონის 37 და 54 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პენსიის გადაანგარიშება წარმოებს ამ მუხლებში აღნიშნული ვადებიდან.

მუხლი 105. ერთი პენსიიდან მეორეზე გადაყვანა

ერთი პენსიიდან მეორეზე გადაყვანას ახორციელებს პენსიების დამნიშვნელი კომისიის წევრი — სოციალური უზრუნველყოფის რაიონული (საქალაქო) განყოფილების გამგე ერთპიროვნულად.

გადაყვანა ხორციელდება ყველა საჭირო დოკუმენტითურთ შესაბამისი განცხადების შეტანის დღიდან (თუ ისინი არ არის საპენსიო საქმეში).

მუხლი 106. სოციალური პენსიების ნორმების გამოყენების წესი ცალკეული კატეგორიების მოქალაქეებისათვის შრომითი პენსიების დანიშვნის დროს

შრომითი პენსიებისა და მათი დანამატების ოდენობის განსაზღვრისას სოციალური პენსიების ნორმების მიხედვით (მუხლები 22, 35, 47, 49, 84) 60 წელს მიღწეული მამაკაცები და 55 წელს მიღწეული ქალები, აგრეთვე მე-40 მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნული პირნი გათანაბრებული არიან ამ კანონის 120-ე მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ პირებთან.

პენსიების გადახდა

მუხლი 107. პენსიების გადახდა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

არამომუშავე პენსიონერებს პენსიას უხდიან სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები პენსიონერის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მიუხედავად ჩაწერისა.

მუხლი 108. პენსიების გადახდა სამუშაო ადგილის მიხედვით

მომუშავე პენსიონერებს პენსიას უხდიან სამუშაო ადგილზე სოციალური დაზღვევის შენატანის ხარჯზე.

სამუშაო ადგილზე პენსიის გადახდა წარმოებს განცალკევებით სათვის თვის მეორე ნახევრის ხელფასის გადახდის ერთდროულად.

მუხლი 109. პენსიონერთა და ხანდაზმულ-ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოვალეობა შეატყობინონ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს პენსიების გადახდაზე გავლენის მომხდენი პირობების ცვლილებანი

იმ შემთხვევებში, როდესაც გამომუშავების ან სხვა შემოსავლის არსებობის გამო დანიშნული პენსია უნდა გაიცეს შემცირებული ოდენობით ან საერთოდ არ უნდა გაეცეს, პენსიონერები ვალდებული არიან შეატყობინონ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს გამომუშავებისა და სხვა შემოსავლის არსებობა.

პენსიონერები, რომლებიც მარჩენლის დაკარგვის გამო იღებენ პენსიას, მოვალენი არიან ასევე შეატყობინონ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს ოჯახის იმ წევრთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებანი, რომლებზეც ეძლევათ პენსია ან პენსიის დანამატი.

საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან 5 დღის ვადაში შეატყობინონ სოციალური უზრუნველყოფის შესაბამის განყოფილებებს პენსიონერთა სამუშაოზე მიღება.

მუხლი 110. პენსიის მინდობილობით გადახდა და მისი გაფორმების წესი

პენსია შეიძლება გაიცეს მინდობილობით. მინდობილობა შეიძლება გაცემულ იქნეს არა უმეტეს სამი წლის ვადით.

თუ მინდობილობაში ვადა არ არის მითითებული, იგი ძალამოსილია მისი გაფორმების დღიდან ერთი წლის განმავლობაში. მინდობილობა დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით ან სახლმმართველობის მიერ, ან პენსიონ

სსრ კავშირში მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ

(დასასრული)

გმირ დედებს სოციალური პენსიები ენიშნებათ ყველა შემთხვევაში არა ნაკლებ ასაკობრივი პენსიის მინიმალური ოდენობის 100 პროცენტისა (20 მუხლი).

მუხლი 121. რაიონული კოეფიციენტების შეფარდება პენსიების ოდენობასთან

იმ რაიონებში მცხოვრები პირებისათვის, სადაც მუშა-მოსამსახურეთა ხელფასზე დაწესებულია რაიონული კოეფიციენტები, სოციალური პენსიების ოდენობა განისაზღვრება ამ რაიონებში მათი ცხოვრების პერიოდისათვის კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც მოცემულ რაიონში დაწესებულია არასაწარმოო დარგების მუშა-მოსამსახურეებისათვის.

მუხლი 122. სოციალური პენსიის ან შრომითი პენსიის დანამატის არჩევანის უფლება

ერთდროულად სოციალური პენსიისა და ასაკობრივ ან ინვალიდობის პენსიაზე ოჯახის შრომისუუნარო წევრებისათვის დანამატის უფლების არსებობისას (მუხლები 22 და 35) ინიშნება მთხოვნელის არჩევანით ან პენსია ან დანამატი.

მუხლი 123. პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესი

სოციალური პენსიების დანიშვნისა და გაცემის დროს გამოიყენება შესაბამისად ამ კანონის 99-105, 107, 109-116 და 118 მუხლები.

კარი IV. პენსიების გადაანგარიშების წესი და პროცედურა

მუხლი 124. პენსიების მომატება ცხოვრების ღირებულების ინდექსის შეცვლასთან და ხელფასის ზრდასთან დაკავშირებით

ამ კანონის 20, 31 და 47 მუხლების ნორმების მიხედვით გამომუშავებიდან გამომანგარიშებული პენსიები ყოველწლიურად იზრდება ცხოვრების ღირებულების ინდექსის შეცვლასთან და ხელფასის ზრდასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით, მაგრამ არანაკლებ იმ გამომუშავების 2 პროცენტის ოდენობით, საიდანაც არის გამომუშავებული პენსია (მუხლი (76).

მუხლი 125. წინათ დანიშნული პენსიების გადაანგარიშება

პენსიის გადაანგარიშება „წარმოებს საპენსიო საქმეში გადაანგარიშების დროისათვის არსებული ასაკის, სტაჟის, გამომუშავებისა და შრომის ვეტერანთა, სხვა შრომის უუნარო მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფის დონე, რომელიც სსრ კავშირის მიერ არის გარანტირებული.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საკუთარი სახსრების ხარჯზე შეიძლება დაწესდეს პენსიონერთა მატერიალური უზრუნველყოფის დამატებითი სახეობანი მოცემული რეგიონისათვის მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის გათვალისწინებით.

მუხლი 129. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უფლებები

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით პენსიონერებსა და ინვალიდებს შესაბამისი რესპუბლიკური ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე შეიძლება დაუწესდეთ: სსრ კავშირის მიერ გარანტირებული პენსიების მინიმალური ოდენობის დანამატი ყველა სახეობის სახელმწიფო პენსიებზე ცხოვრების ღირებულების შეცვლისა და ხელფასის ზრდის შესაბამისად რესპუბლიკაში.

მოვლის დანამატი იმ მარტოხელა პენსიონერების პენსიებზე, რომლებსაც სხვათა დახმარება ესაჭიროებათ;

ამ კანონთან შედარებით პენსიების გადახდის უფრო შეღავათიანი პირობები მომუშავე პენსიონერებისათვის, აგრეთვე ასაკობრივ პენსიაზე გასვლის ფართო შეღავათიანი პირობები ბავშვიანი ქალებისათვის, ყონკრეტული დემოგრაფიული სიტუაციის გათვალისწინებით;

ცალკეულ კატეგორიათა მუშაკების ვადამდელი გასვლა პენსიაზე, მათ შორის განსაკუთრებული კლიმატური პირობების მქონე რაიონებში, მათი შრომისა და ცხოვრების თავისებურებათა გათვალისწინებით;

პენსიები უთავსსაჩინოესი შრომითი მიღწევებისა და რესპუბლიკის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის სახელმწიფო, საზოგადო და უმეურნეო მოღვაწეობის, მეცნიერების, კულტურის, სახალხო განათლების, ჯანდაცვისა და სპორტის დარგში;

სამედიცინო მომსახურებისა და სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის შეღავათები;

საცხოვრებელი ფართობის ქირის, კომუნალური, მომსახურების გადასახდელისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათები;

მომრაობის ინდივიდუალური საშუალებების ავტომობილების, (ავტო, ველო და სავარძელ-ეტლების), სათბობის, სურსათ-სანოვაგის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და პენსიონერებისათვის საჭირო სხვა საქონლის ღირებულების ფასჩამოკლება;

კულტურულ-საგანმანათლებლო და თეატრალურ-სანახაობრივ დაწესებულებებში პენსიონერთა შეკვლისას ბილეთების ღირებულების ანაზღაურების შეღავათები.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები იღებენ სხვა გადაწყვეტილებებსაც, რომლებიც ხელს უწყობენ პენსიონერთა, უწინარეს ყოვლისა, ხელმოკლეების, მარტოხელების, მცირეწლოვანების, დედ-მამით ობლებისა და ინვალიდების, ომის მონაწილეებისა და ზურგის მშრომელების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას შესაბამისი რესპუბლიკური ბიუჯეტების ხარჯზე.

მუხლი 130. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებები

მხარეების, ოლქების, ოკრუგების, ქალაქებისა და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საბჭოებს უფლება აქვთ შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე თავიანთი უფლებების ფარგლებში დაუწესონ პენსიონერებსა და ინვალიდებს ამ კანონის 129 მუხლით გათვალისწინებული შეღავათები. აგრეთვე უფასო ან ფასჩამოკლებული საზოგადოებრივი კვება.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები იღებენ სხვა გადაწყვეტილებებსაც, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ პენსიონერთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე.

მუხლი 131. შრომითი კოლექტივების უფლებები;

საწარმო-ორგანიზაციათა ადმინისტრაციას უფლება აქვს პროფკავშირულ კომიტეტთან და შრომითი კოლექტივის საბჭოსთან ერთად შრომის ანაზღაურებისათვის განკუთვნილი საკუთარი სახსრების ხარჯზე გადაწყვიტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მოცემულ კომიტეტში ნამუშევარი ვეტერანებისა და ინვალიდების, სხვა პენსიონერების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან და, კერძოდ:

დაუწესონ სახელმწიფო პენსიების დანამატი მუშაკის შრომითი წვლილის, მუშობის საერთო და უწყვეტი სტაჟის ხანგრძლივობის გათვალისწინებით;

შემოიღონ ვადამდელი პენსიები არახელსაყრელ, შრომის პირობებში ან განსაკუთრებული კლიმატური პირობების მქონე რაიონებში დასაქმებულ მუშაკებს, თუ ისინი არ სარგებლობენ შეღავათიანი პენსიის უფლებით, ამ კანონის შესაბამისად შრომის პირობების მიხედვით;

უზადო მომუშავე პენსიონერებს პენსია უფრო შეღავათიანი პირობებით, ვიდრე ამ კანონით არის დადგენილი;

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 15 მაისი.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება

„სსრ კავშირში მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირში მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“* შემდეგ ვადებში:

1990 წლის 1 ოქტომბრიდან — ის ნაწილი, რომელიც ეხება ომის ინვალიდებისა და ომის სხვა მონაწილეების პენსიებს;

1991 წლის 1 იანვრიდან — ის ნაწილი, რომელიც ეხება სხვა კატეგორიების პენსიონერთა პენსიების მინიმალურ რაოდენობას, სოციალურ პენსიებს, ბავშვობიდან ინვალიდობის პენსიებს, დიდი სამამულო ომის პერიოდში საბრძოლო მოქმედებასთან ან მის შედეგებთან დაკავშირებული დაჭრის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, უდედმამოდ დარჩენილი ობოლი ბავშვების, ინვალიდი შვილების (ბავშვობიდან I-ლი და II ჯგუფების ინვალიდების) დედების, ჩერნობილის ატეს-ის ავარიის შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეთა პენსიებს, აგრეთვე ნაწილი იმ ნორმების შესახებ, რომლებიც არ ეხება პენსიების ოდენობას. იმავდროულად გადიდდეს 5-40 მანეთით კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე დანიშნული პენსიები, პენსიაზე ყოფნის ხანგრძლივობის კალთაზე, რაც ამ დადგენილების მე-3 პუნქტით არის გათვალისწინებული.

1992 წლის 1 იანვრიდან — ახლად დანიშნული პენსიებისათვის და კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე დანიშნული სხვა პენსიების გადაანგარიშებისათვის (სტაჟის, მუშაობუნვენებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლების მიხედვით, 1991 წლის 1 იანვრიდან მომატების ჩათვლით), ამასთან აღნიშნული კანონის შესაბამისად გამოანგარიშებული პენსიები 160 მანეთზე მეტი ოდენობით გაიცემა: 1993 წლის 1 ივლისამდე პერიოდში — 160 მანეთამდე ფარგლებში, მაგრამ არა ნაკლებ იმ ოდენობისა, რომელიც 1991 წლის 1 იანვრიდან არის დადგენილი 5-40 მანეთის მომატებით, 1993 წლის 1 ივლისიდან სრული თანხით.

მაგრამ 1993 წლის 1 ივლისამდე პერიოდში ყველა შემთხვევაში პენსიები გაიცემა არა ნაკლებ იმ ოდენობისა, რომელიც გათვალისწინებული იყო კანონმდებლობით კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე.

2. გაუქმდეს 1991 წლის 1 იანვრიდან შეზღუდვები მოხუცებულობის პენსიის იმ გადიდებული მაქსიმალური ოდენობით მიღების უფლებისა, რომელიც სსრ კავშირის „სახელმწიფო პენსიების“ კანონის მე-13 მუხლით არის დაწესებული ქვანახშირის, მეტალურგიული და სხვა სამრეწველო დანიშნულების ფონდებიდან მუშაობისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებმაც თავი დაანებეს აღნიშნული პენსიის უფლების მომცემ სამუშაოს ამ კატეგორიის მუშაკთა პენსიების გადიდებული მაქსიმალური ოდენობის შემოღებამდე.

მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომლებსაც დაწესებული აქვთ აღნიშნული გადიდებული მაქსიმალური ოდენობის პენსიები, სამოქმედოდ იქნეს შემოღებული კანონი 1991 წლის 1 იანვრიდან და მიღებულ პენსიონერ 1992 წლის 1 იანვრამდე 210 მანეთამდე ფარგლებში, 1992 წლის 1 იანვრიდან — სრული თანხა.

3. კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე დანიშნული, მათ შორის მინიმალური, პენსიები, გადაანგარიშების დროს იზრდება კანონით დადგენილ ოდენობამდე. ერიცხება შესაბამისი დანამატი, მაგრამ არა ნაკლებ 5 მანეთისა თვეში, თუ მოქალაქე პენსიაზე იმყოფება 5 წლამდე ჩათვლით, 10 მანეთით — 5-დან 10 წლამდე, 15 მანეთით — 10-დან 15 წლამდე, 20 მანეთით — 15-დან 20 წლამდე, 30 მანეთით — 20-დან 25 წლამდე, 40 მანეთით — 25 წელიწადს და მეტ ხანს (ომის ინვალიდებისა და ომის სხვა მონაწილეებისათვის — კანონის 22 და 35 მუხლებით გათვალისწინებული გადიდების მხედველობაში მიუღებლად). დიდი სამამულო ომის პერიოდში საბრძოლო მოქმედებასთან ან მის შედეგებთან დაკავშირებული დაჭრის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად ბავშვობიდან ინვალიდობის პენსიები, აგრეთვე აღნიშნული მიზეზების შედეგად ბავშვობიდან ინვალიდთა მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიები, ამას გარდა, იზრდება მინიმალური ასაკობრივი პენსიის 15 პროცენტით.

მინიმალური ხელფასის ზრდასთან დაკავშირებით პენსიების მინიმალური ოდენობის შემდგომი მომატებისას პენსიების გადაანგარიშება წარმოებს პენსიების 5-40 მანეთით აღნიშნული მომატების გაუთვალისწინებლად.

4. დადგინდეს, რომ კანონის 67 მუხლის დებულებათა მიუხედავად პენსიის დანიშვნის შემდეგ კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე პერიოდში მუშაობის დრო მხედველობაში მიიღება პენსიის ოდენობის მომატებისას (კანონის 20 მუხლი).

5. დარჩეს კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე მოქმედი წესი, რომელიც ეხება:

კოსმონავტთა პენსიების, განათლების, ჯანდაცვის მუშაკთა, სპორტსმენთა ნამსახურობის პენსიების დანიშვნასა და გადახდას (კანონის 6 მუხლის შესაბამისად პენსიის არჩევანის უფლების გათვალისწინებით);

დიდი სამამულო ომის პერიოდში სსრ კავშირისა და სხვა სახელმწიფოების ტერიტორიის ოკუპირებულ ნაწილში ყოფნის დროის შრომითის სტაჟში შეტანას;

საბჭოთა დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაკთა მეუღლეების საზღვარგარეთ ყოფნის დროის შრომის სტაჟში შეტანას;

პენსიების გადახდას საზღვარგარეთ მიმავალ მოქალაქეებისათვის, თუ ეს წესი ითვალისწინებს უფრო შეღავათიან პირობებს, ვიდრე კანონით არის დადგენილი;

დანამატის დარიცხვას ასაკობრივ პენსიაზე საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ მუშაობის ყოველ წლისათვის (მაგრამ არა უმეტეს, ვიდრე 1991 წლის 1 იანვრამდე) იმ ოდენობის ფარგლებში, რომელიც გამოანგარიშებულია კანონის 20 და 76 მუხლების მიხედვით შესაბამისი მუშაობის სტაჟის დროს მინიმალური ხელფასის ათგზისი ოდენობიდან.

6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომებმა კანონის შესაბამისად პენსიების დროული გადაანგარიშების, დანიშვნისა და გადახდის უზრუნველსაყოფად შეიმუშაონ და განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა განამტკიცონ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განსაკუთრებით სრულად აღჭურვონ ისინი გამოთვლითი ტექნიკის, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის თანამედროვე საშუალებებით, დაკომპლექტონ კვალიფიციური კადრებით, სრულყონ ამ ორგანოების მუშაკთა შრომის მატერიალური სტიმულირება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1990 წლის 1 ნოემბრამდე ვალდაზე:

მიიღო საჭირო ნორმატიული აქტები „სსრ კავშირში მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის გამოსაყენებლად იმ საკითხებზე, რომლებიც კანონით მიკუთვნებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კომპეტენციას:

დაამტკიცოს საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად სსრ კავშირის საპენსიო ფონდის დებულება, აგრეთვე ამ ფონდში მოქალაქეთა მიერ სავალდებულო სადაზღვევო შესატანის გადახდის, იმ პირთა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პირობები და წესი, რომლებიც მისდევენ ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას, მათ შორის, ინდივიდუალური (ჯგუფური) იჯარის პირობებით ან პირად გლეხურ მეურნეობაში;

საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით დასრულოს იმ წარმოებათა, საამქროთა, პროფესიათა, თანამდებობათა და მაჩვენებელთა სიების ფორმირება, რომლებიც შეღავათიანი საპენსიო უზრუნველყოფის უფლებას იძლევიან, ნამსახურობის პენსიის უფლების მომცემ წარმოებათა და პროფესიათა სიების ფორმირება, ამასთან განიხილოს ახლანდელ სესიაზე გამოთქმული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა წინადადებანი, რომლებიც აღნიშნულ სიებს განეკუთვნება;

წარმოუდგინოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს წინადადებანი პენსიების მომატების წესისა და ვადების შესახებ ცხოვრების ღირებულების ინდექსის შეცვლასთან და ხელფასის ზრდასთან დაკავშირებით (კანონის 124 მუხლი) მოსახლეობის შემოსავლის ინდექსაციის კანონის პროექტის ერთდროულად;

შრომის სტაჟის დადასტურების წესის დადგენისას (კანონის 74 მუხლი) გათვალისწინოს მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე მუშაობის სტაჟის დადასტურების შესაძლებლობა პენსიის ოდენობის გასაზომად ან კანონის 20 მუხლის შესაბამისად;

გადაწყვიტოს იმ სამედიცინო და ფარმაცევტულ მუშაკთა შეღავათიანი საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი, რომელთაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შეეყარათ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი;

განიხილოს საკითხი, რომ დროის ორმაგი ოდენობით ჩაითვალოს სტაჟში მუშაობა რადიაციული დაბინძურების ტერიტორიებზე არსებულ სამკურნალო დაწესებულებებში, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით დაავადებულ პირთა ან ზიდსიან ავადმყოფთა სამკურნალო ინფექციურ დაწესებულებებში, სამკურნალო დაწესებულებათა პათოლოგოანატომიურ და სარეანიმაციო განყოფილებებში;

წარმოუდგინოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს წინადადებანი, რომ მოქმედ კანონმდებლობაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც გამომდინარობს სსრ კავშირის კანონიდან „სსრ კავშირში მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“, მათ შორის, უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში და ამ რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში მუშაობის პირიოდისათვის შრომითი სტაჟის გამოსაანგარიშებლად შეღავათების კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეუსაბამოს სსრ კავშირის მთავრობის აქტები სსრ კავშირის კანონს „სსრ კავშირში მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ და უზრუნველყოს, რომ სსრ კავშირის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა გადასინჯონ მათი ნორმატიული აქტები, კერძოდ, ინსტრუქციები, რომლებიც აღნიშნულ კანონს ეწინააღმდეგება.

დადგინდეს, რომ მუშაობის სტაჟის გამოანგარიშების წესი, რომელიც კანონის 70 მუხლით არის გათვალისწინებული დიდი სამამულო ომის პერიოდში ზურგის მშრომელებისა და ჯარის ნაწილების თავისუფლად დაქირავებული შემადგენლობის მშრომელებისათვის, ვრცელდება იმ პირებზეც, ვინც შრომისუნარიან ასაკში ცხოვრობდა ქ. ლენინგრადში მისი ბლოკადის დროს, აგრეთვე პირებზე, რომლებიც დიდი სამამულო ომის პერიოდში ძალით გაიყვანეს დროებით ოკუპირებული სსრ კავშირის ტერიტორიიდან სსრ კავშირთან ომის მფყფი სახელმწიფოების ტერიტორიაზე, ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების (ჰეტოებისა და ომის პერიოდში იძულებით სამყოფელი სხვა ადგილების) ტუსაღებზე, მათ შორის ბავშვებზე, თუ ამ პერიოდში მათ არ ჩაუფიანთ დანაშაულობანი სამშობლოს წინააღმდეგ.

ნება დაერთოს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს საპენსიო რეფორმის განხორციელების პერიოდში კანონის შესაბამიად მიიღოს გადაწყვეტილებანი მისი გამოყენების წესის შესახებ, მათ შორის, ცალკეულ კატეგორიათა მოქალაქეებთან დაკავშირებით, რომლებიც სავალდებულო იქნება სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების, სახელმწიფო მმართველობის აგენტობა-ორგანოების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის. ამასთან მოქალაქეებს რჩებათ უფლება მმართონ სასამართლოს კანონის 102 მუხლის შესაბამისად.

7. რჩევა მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს განიხილონ ამ სესიაზე გამოთქმული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა წინადადებანი იმის შესახებ, რომ გაუფუჭობესდეთ და გაუჯანსაღდეთ შრომის პირობები და მიენიჭოთ საპენსიო უზრუნველყოფის მხრივ შეღავათები სოფლის მეურნეობის მუშაკებს (მექანიზატორებს, მემინდვრეებს, მებოსტნეებს, მეგამბეებს, მეაბრეშუმეებს, მეხბორეებს, მეჩაიეებს, მეცხვლეებს, მერემეებს, სათბურების მუშაკებს, მეფრინველეებს, მებოცვრეებს, მენადირეებს, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოზრდის და სუქების ოპერატორებს), აგრეთვე მეირმეებს, მეცხვარეებს, მებადურებს, მონადირეებს, მათ შორის მოძთბარეებს, მეტყევეებს, სამგზავრო ბაგირგზების გამყოლებს. საზღვაო სარეწაოების ნავთობმომპოვებლებს, ავიკის ხელოთ გაპრიალებაზე დასაქმებულ მომპირეკეებს, საქალაქო სამგზავრო და სხვა სახეობათა ტრანსპორტის მძღოლებს, ცალკეულ პროფესიათა მუშებს, რომლებიც დასაქმებული არიან ხე-ტყის, ხისდამუშავებელ და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში, აგრეთვე მშენებლობასა და ენერგეტიკაში, მზარეულებს, ხაბაზებს, კონდიტერებს, მეხალიჩეებს, სამედიცინო და ფარმაცევტულ მუშაკებს, და მათი შრომის თავისებურებების გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება „სსრ კავშირში მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 129 და 130 მუხლების შესაბამისად, „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკური ურთიერთობის საფუძვლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საწყისების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

8. კანონის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად გაუდიდდეთ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შესატანის ტარიფები საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ინვალიდთა და პენსიონერთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებს, მათი საწარმოების, დაწესებულებების, გაერთიანებებისა და სასწავლებლების გარდა, ამასთან დაწესდეს ისინი 37 პროცენტის ოდენობით ახალი საბითუმო და შესყიდვის ფასების შემოღების ერთდროულად.

დაწესდეს მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შესატანი სსრ კავშირის საპენსიო ფონდში (კანონის 8 მუხლი) ხელფასის 1 პროცენტის ოდენობით.

9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად გასწიოს მუშაობა სახელმწიფო შეღავათიანი საპენსიო უზრუნველყოფის კარდინალური რეფორმის მოსამზადებლად, მათ შორის ნამსახურობისათვის, ამასთან შეზღუდოს მისი მოქმედების სფერო სპეციფიკური დარგებით, სადაც შრომის მავნე და ძძიმე პირობები ან ადამიანის ჯანმრთელობის საფრთხე რჩება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მდგომარეობის მიუხედავად, იმ მიზნით, რომ ეს საკითხები შემდგომ გადაიცეს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გადასაწყვეტად კოლექტიური ხელშეკრულებათა ფარგლებში. წარმოუდგინოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს ამ კანონის 129 მუხლით გათვალისწინებული შეღავათები. აგრეთვე უფასო ან ფასჩამოკლებული საზოგადოებრივი კვება.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ინებენ სხვა გადაწყვეტილებებსაც, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ პენსიონერთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე.

მუხლი 131. შრომითი კოლექტივების უფლებები;

საწარმო-ორგანიზაციათა ადმინისტრაციას უფლება აქვს პროფკავშირულ კომიტეტთან და შრომითი კოლექტივის საბჭოსთან ერთად შრომის ანაზღაურებისათვის განკუთვნილი საკუთარი სახსრების ხარჯზე გადაწყვიტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მოცემულ კომიტეტში ნამუშევარი ვეტერანებისა და ინვალიდების, სხვა პენსიონერების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან და, კერძოდ:

დაუწესონ სახელმწიფო პენსიების დანამატი მუშაკის შრომითი წვლილის, მუშობის საერთო და უწყვეტი სტაჟის ხანგრძლივობის გათვალისწინებით;

შემოიღონ ვადამდელი პენსიები არახელსაყრელ, შრომის პირობებში ან განსაკუთრებული კლიმატური პირობების მქონე რაიონებში დასაქმებულ მუშაკებს, თუ ისინი არ სარგებლობენ შეღავათიანი პენსიის უფლებით, ამ კანონის შესაბამისად შრომის პირობების მიხედვით;

უზადო მომუშავე პენსიონერებს პენსია უფრო შეღავათიანი პირობებით, ვიდრე ამ კანონით არის დადგენილი;

დაუწესონ პენსიის დანამატი მარტოხელა პენსიონერებს, რომლებსაც სხვათა დახმარება სჭირდებათ, მათი მოვლისათვის;

შემოიღონ პერსონალური დანამატი (სართი) პენსიებზე, უსდონ ერთდროული შემწეობა პენსიაზე გასვლისას მუშაკებს, რომლებსაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით მოცემული შრომითი კოლექტივის წინაშე და, უწინარეს ყოვლისა, საუკეთესო შრომითი მიღწევებისათვის.

საწარმოებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ სოციალური განვითარებისათვის განკუთვნილი საკუთარი სახსრების ხარჯზე დაუწესონ პენსიონერებს შეღავათები ბინის ქირის, საწარმო-ორგანიზაციათა გამგეებლობაში არსებულ ბავშვთა დაწესებულებებში ბავშვთა ყოლის გადასახდელის შეღავათები. ნაწილობრივ ან მთლიანად აუნაზღაურონ სათბობის, კომუნალური მომსახურების, მოძრაობის ინდივიდუალური საშუალებების პენსიონერებისათვის აუცილებელი სხვა საქონლის, ბინათსამშენებლო, საბაღე, გარაჟსამშენებლო კოოპერატივებში საპაიო შესატანის, ყველა სახეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის და კულტურულ-საგანმანათლებლო და თეატრალურ-სანახაობრივ დაწესებულებებში შესასვლელი ბილეთების ღირებულება, გაუწიონ პენსიონერებს სხვა დახმარება.

საწარმოები და ორგანიზაციები მოვალენი არიან მიანიჭონ პენსიონერებს შეღავათი ამ საწარმოთა განმგეებლობაში არსებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსებით, დასასვენებელი სახლებით, პანსიონატებით, სანატორიუმებითა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით სარგებლობისა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 15 მაისი.

ფაქტი და განსჯა

რაზეც გაჩუმება აღარ შეიძლება

რაიონის მთელი საზოგადოებრობა აღაშფოთა ბოროტმა ხულიგნობამ, რომელიც პირველ ივნისს მარნეულში მოხდა. ნაშუადღევს, დაახლოებით ოთხის ნახევარზე, პარტიის რაიკომის ბერელი მდივნის კაბინეტში შევიდა სოფელ წერეთლის მცხოვრები ამირან ქვილითაია. რაკი ფანონო მოთხოვნაზე უარი მიიღო, გაგულისებული მყისვე წამოიჭრა ადგილიდან, ატეხა შანტაჟი და პროვოკაცია. მოყვა ლანძღვას, გინებას, მუქარას, სწრაფად გამოიჭრა კაბინეტიდან და მდივნის მისაღებში ჩაამტვრია ფანჯრის მინები. არც ამას დასჯერდა, ადმინისტრაციული სახლის ვესტიბიულიც არ დაინდო. ხელკეტით იქაც ერთიანად ჩალეწა სქელი მინები...

ხულიგნის თანამეინახე გახლდათ ვინმე ვახტანგ გაბელია, რომელიც, როგორც გვითხრეს, ჩხორორწყუს რაიონიდან არის და იქ ავტობუსის მძღოლად მუშაობს, ისიც გვითხრეს უკანასკნელად აქ მოიძია სარფიანი სამუშაო და ჩაუწერლად ცხოვრობსო. ამფსონები წინასწარ გვარიანად შეზარხოშებულან რესტორან „მერეთში“ და იქ შეუდგენიათ სამოქმედო გეგმა. ვახტანგ გაბელია წერეთლის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ვალერი გაბელიას ძმაა. ვაი თუ იგი მისი წაქეზებით და მფარველობით მოქმედებდა...

როცა „რაინდებმა“ მინების მსხვრევეთ საკმაოდ მოიჯერეს გული, ჩასხდნენ ავტომანქანაში და წერეთელში გაისეირნეს. შანტაჟის გასამწვავებლად უკან წამოიყვანეს ქვილითაიას მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი. მათ თურმე ლანძღვაში არც მანდილოსანი ჩამორჩებოდა. როგორც სავალალოა, რომ ბოროტი ხულიგნების მოქმედება დროზე ვერ აღკვეთეს რაიონის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა. თითქმის არაფერი იღონეს დამსწრე საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმაც, ხულიგნები ქალაქის ცენტრიდან გამარკვევებულის იერით გაუჩინარდნენ.

შემთხვევის ადგილზე მეორე დღეს გახლდით, სხვებთან ერთად შევიარეთ სოფელ წერეთელშიც, ამირან ქვილითაია ნებივრად დაბიჯებდა შარაზე. შევხვდით რაიონის საზოგადოებრიობის, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს. მათი მოთხოვნა ერთსულოვანია: ახლა კი გაჩუმება აღარ შეიძლება, ხულიგნებს დანაშაული არ უნდა შერჩეთ, ისინი მკაცრ სასჯელს იმსახურებენო.

იმედია, რაიონის ადმინისტრაციული ორგანოები გაითვალისწინებენ ხალხის გულისთქმას და დამნაშავენი წარსდგებიან სამსჯავროს წინაშე, წარდემდე შეიძლება ვუთმინოთ თავგასულებს?

„კომუნისტის“ კორ.

რას მოითხოვენ მოშიმშილენი...

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში უგადო შიმშილობა გამოაცხადა ფილოლოგიის ფაკულტეტის ოთხმა სტუდენტმა და ერთმა კურსდამთავრებულმა.

შიმშილობის აქციის მონაწილეთა მიმართვაში, რომელიც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში გაიგზავნა, მოითხოვენ, დაუყოვნებლივ იქნეს მოწვეული უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რომელიც განიხილავს და გადაწყვეტს რიგ საკითხებს, კერძოდ, მიაჩნიათ, რომ ბათილად უნდა ჩაითვალოს 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს სსრ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადება, აგრეთვე საქართველოს საერეზიო კომისიის მიერ 1921 წლის 21 მარტის დეკრეტით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების გაუქმება. მიღებულ იქნას კანონი საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების შესახებ, რომელიც უნდა ემსახურებოდეს მრავალპარტიულობასა და პროპორციულ საარჩევნო სისტემას, მოითხოვენ დადგენილებების მიღებას სამხედრო სამსახურის ალტერნატიული შრომითი სამსახურით შეცვლის, აგრეთვე სამოქალაქო რაზმების შექმნის შესახებ და. სხვ.

მოშიმშილეებს მიაჩნიათ, რომ დღეს საქართველოს პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავლისათვის საჭიროა შეკავშირება, რომელიც გააღლობს იმ ყინულს, მცდარ პოლიტიკურ დინებებს რომ მოჰყვა.

მათვე აქვთ იმედი, რომ აქციას ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდება, მოთხოვნების განხორციელება კი შესაძლებელს გახდის ქართველმ

მარტის ქარიშხლიანი დღეები

აჭარის ასსრ უმაღლეს საბჭოს
აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს
პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო!

კიდევ ერთი „თეთრი ლაქა“ წაიშალა ჩვენი ხალხის ისტორიაში, შვიდი ათეული წლის შემდეგ მოუშუშებელი გულის ჭრილობა გადაიხსნა ძირძველ აჭარის მიწაზე. მარადიულია იმათი ხსოვნა, ვინც შეეწირა „სამშობლოს თავისუფლებასა“ და დამოუკიდებლობას. დღევანდელმა თაობამ უველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ აღარასოდეს შეტრიალდეს უკუღმა ერის ბედიღბალი. როგორც არასოდეს, ისე გვჭირდება დღეს ეროვნული თანხმობა და ერთიანობა, ძალისხმევის გაერთიანება, ურთიერთგაგება, თანადგომა. მშვიდობიანობა, ურთიერთსიყვარული, შემწყნარებლობა უნდა სუფევდეს ჩვენს მრავალტანჯულ მიწა-წყალზე. სწორედ ეს გზა მიგვიყვანს პროგრესთან, უმანანზმთან, იმ საერთო-საკაცობრიო იდეალებთან, რისთვისაც იბრძოდნენ და თავს სწირავდნენ ჩვენი დიდი წინაპრები.

პატივისცემით

გიორგი გუმბარიძე.

1921 წლის მარტში უმძიმესი დღეები ედგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. მთელი ტერიტორია საბჭოთა რუსეთის ჯარებმა დაიკავეს. მენშევიკურმა მთავრობამ ბათუმს შეაფარა თავი და უცხოეთში გასახიზნად ემზადებოდა. არმია ფაქტობრივად დაშლილი იყო. საქართველოს ასეთი მდგომარეობით ისარგებლა თურქეთმა და 16 მარტს ბათუმში შემოიჭრა. აჭარას კვლავ საფრთხე შეექმნა. საქართველოს მთლიანობის გადასარჩენად, ემიგრაციაში წასვლის წინ მენშევიკურმა მთავრობამ ბათუმის სატუსაღოდან გამოუშვა ბოლშევიკები, დაახლოებით 300 კაცი, ხოლო სერგო ქავთარაძეს წინადადება მისცეს, რადაც უნდა დაჯდომოდათ, ოსმალოსაგან გაეთავისუფლებინათ ბათუმი.

რევკომმა ბათუმში მყოფ გენერალ გიორგი მაზნიაშვილს სთხოვა, სათავეში ჩასდგომოდა მენშევიკური ჯარის შემორჩენილ ნაწილებს. საბჭოთა ჯარები მაშინ საფავახოსთან იდგნენ. ყოველი წუთი ძვირფასი იყო. მათ მოსვლას რომ დალოდებოდნენ, შეიძლება შემთხვევა ხელიდან გაეშვათ და ამასობაში ქაზიმ-ბეის მაშველი ჯარები შემოშველებოდა. გენერალმა მაზნიაშვილმა მოკლე დროში სახელდახელოდ შეადგინა სამხედრო ნაწილები, მათ შეუერთდნენ ქართველი მოხალისეები და გააფთრებული ბრძოლები გააჩაღეს ბათუმში გამაგრებული ოსმალოს ჯარების წინააღმდეგ. მამაცი პოლკოვნიკის ფრიდონ წულუკიძის ხელმძღვანელობით ბარცხანის თურქთა კარნიზონი მთლიანად გაანადგურეს. ასე თანდათან მტერს სხვა უბნებშიც მიაყენეს გადამწყვეტი დარტყმები. ქაზიმ-ბეიმ ითხოვა, სურსათი მომეცით და მთლიანად გავეცლები ბათუმსო. ასეც მოხდა. ჭოროხის გავლით თურქეთის ჯარებმა საქართველო დატოვეს. იმ დღეებსა და ბრძოლებს კარგად ასახავს გენერალ გიორგი მაზნიაშვილის წიგნი, რომელიც „საბჭოთა აჭარამ“ გამოსცა.

ცნობილი გახდა, რომ ბათუმისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში გმირულად დაიღუპა 84 ქართველი მეომარი და მოხალისე. აქედან ორმოცამდე მეომარი, რომლებიც აჭარისა და გურიის რაიონებიდან იყვნენ, ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა გაასვენეს. დანარჩენები მხედრული პატივით დაკრძალეს მაშინდელ თავისუფლების მოედანზე. საფლავზე აღმართეს მონუმენტი. ეს მოხდა 1921 წლის 23 მარტს.

დროთა განმავლობაში თანდათან დავიწყებას მიეცა ბრძოლებში დაღუპულთა სახელები. მეტიც, მოედნის გაფართოების მიზნით ობელისკი სხვა ადგილას გადაიტანეს, საფლავები ასფალტის ქვეშ მოექცა, ხოლო მოედანს სახელი შეუცვალეს.

რესპუბლიკური პარტიისა და ბათუმის რეგიონალური სახალხო ფრონტის წარმომადგენლებმა სხვა ორგანიზაციებთან და ბათუმის ინტელიგენციასთან ერთად ისტორიის ფურცლები გამოამეზეურეს და ყველაფერს ნათელი მოჰფინეს. მათი თაოსნობით არქივებში მოიკვლიეს მაშინდელი პუბლიკაციები, ფოტოსურათები, დაჰკითხეს იმ ამბების მომსწრენი. დადგინდა 14 ადამიანის სახელი, რომლებიც სამმო საფლავში განისვენებდნენ. ესენი არიან: მაყვალა ყანჩაველი, იასონ გვარამია, ტატაშ ემხვარი, გრიგოლ ანჩაბაძე, პეტრე ზუხბაია, ერასტო ქირია, ილარიონ ბალიშვილი, პეტრე აკობია, სიმონ წურწუმია, სანდრო მინჯია, მიტო ჩიკვაიძე, კუკური ზარანდია, ლადო მეტრეველი და შოთა ჯაფაჭკორია.

შეიქმნა 1921 წლის მარტში ბათუმისათვის დაღუპულთა გაკრძალვის ადგილას ძმათა სასაფლაოს შესწავლისა და აღმდგენი მომწყობი კომისია. ინიციატორებს ტექნიკით დაეხმარა საქართველოს საზღვაო სანაოსნო. სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ არქეოლოგები ირ. ჩავლეიშვილი და ა. ჯაველიძე, არქიტექტორები გ. რამიშვილი და გ. გაბაშვილი. აღნიშნული ტერიტორია შემოიღობა და საფლავის გათხრას შეუდგნენ. პირველი ოთხი ნეშტი მალევე აღმოაჩინეს, დანარჩენი 46 გვამის ნეშტი კი უფრო ღრმად გათხრის შემდეგ.

ამ ამბავმა ტალღასავით გადაუარა ქალაქსა და მთელს აჭარას. მოდიოდნენ ადამიანები და სხვებთან ერთად ფრთხილად, სათუთად თხრიდნენ საფლავებს. გონებაში ისევ გაცოცხლდა საქართველოს ტრაგიკული დღეები, ვაჟკაცურად წამომიმართნენ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა აჩრდილები. დიახ, მძიმე, ფიქრიანი და ტკივილიანი აღმოჩნდა ეს დღეები. დამზადდა 50 კუბო, თითოეული ნეშტი სათუთად ჩაასვენეს და თეატრის მთავარ ვესტიბიულში დაასვენეს. დარბაზი გადაივსო გვირგვინებითა და ყვავილებით. შაბათს, 2 ივნისს გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი.

განსვენებულთა წესი აუგო ბათუმის ღვთისმშობლის ტაძრის დეკანოზმა მამა დავითმა და მღვდელმა მამა გიორგიმ.

კვირას თეატრალურ მოედანს დილიდანვე მოაწყდა ხალხი. თეატრის კოლონადებიდან ეროვნული სამფეროვანი დროშებია დახრილი. ფასადზე ტრანსპარანტია გაკრული, რომელზეც სამშობლოსათვის თაგვანცნირულ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სიტყვებია წარწერილი: „ერთი გაბრაზებული თაობა თუ დამხვრეტს, მეორე დამშვიდებული თაობა მკვდრეთით აღმადგენს. სიცოცხლე არც დაბადებით იწყება და არც სიკვდილით მთავრდება“. ახდა მისი ეს სიტყვები.

სამგლოვიარო მიტინგში მონაწილეობის მისაღებად შეიკრიბა ბათუმისა და მეზობელი რაიონების მოსახლეობა.

პირველ საათზე დაიწყო სამგლოვიარო მიტინგი. წაიკითხეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გივი გუმბარიძის დეპეშა.

სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს დასაფლავების მომწყობი კომისიის თავმჯდომარემ მ. მამუჭაძემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. სიორიძემ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ. ხახუტაშვილმა, არქეოლოგმა ი. ჩავლეიშვილმა, ჟურნალისტებმა ნ. ჯაფარიძემ, ა. კუდბამ, ა. დიასამიძემ, ლატვიის დელეგაციის წევრმა ა. რუტკისმა, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ჩ. ომერაძემ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. გუგუნავამ, სხვა პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ითქვა, რომ მწუხარე დღეებმა და საერთო სატკივარმა ადამიანები უფრო შეგვაკავშირა. დღეიდან ბათუმელებს გამორჩეული და წმინდა ადგილი ექნებათ, სადაც არასდროს დაჭკნება ყვავილები.

მოედანზე, ძველ ადგილას ძმათა სასაფლაო ახლებურად მოეწყო. მძიმე სანახაობა იყო სამგლოვიარო პროცესია, რომელიც თეატრალური მოედნიდან მთავარი მოედნისაკენ გაეგმართა, ეროვნულ, სამფეროვან დროშებში გახვეული 50 კუბო მეორედ დაადგა სამუდამო განსასვენებლის გზას. პროცესიას წინ ბედაური მიუძღოდა, შემდეგ კი ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ ბავშვთა გუნდი. დუუდა ქუჩა, ისმოდა სამგლოვიარო მელოდია.

თა და როცა სამმო საფლავში ცხედრების ჩასვენება დაიწყეს, ნავსადგურში გამოთხოვებისა და არდავინყების ნიშნად აგუგუნდა გემების საყვირები.

მიხეილ გორგილაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სვიმონ ქარუმიძე

მძიმე დანაკლისი განიცადა საქართველოს აგრონომიულმა მეცნიერებამ. გარდაიცვალა მეცნარეთა დაცვის დარგის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სვიმონ (სიკო) ალექსანდრეს ძე **ქარუმიძე.**

იგი დაიბადა 1900 წელს გორის მაზრის სოფელ თორტიზაში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1921 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1926 წელს.

ს. ქარუმიძემ ჯერ კიდევ სტუდენტმა დაიწყო შრომითი საქმიანობა პროფესორ პ. ნაგორნისთან „მეცნარეთა დაცვის ბიუროში“, ამის შემდეგ კი მან თავისი მეცნიერული მოღვაწეობა დაუკავშირა მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესწავლასა და წარმოებაში დანერგვას.

1927 წელს იგი ხელმძღვანელობს ექსპედიციებს ვაზის ფილოქსერას შესწავლის მიზნით რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში, 1929 წლიდან ერთი წლით მივლინებულია მოსკოვისა და ლენინგრადის სამეცნიერო ცენტრებში. 1930 წელს ინიშნება მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტოქსიკოლოგიური განყოფილების გამგედ, რომელთანაც მას კავშირი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ გაუწყვეტია.

ეწეოდა მეტად ნაყოფიერ საქმიანობას ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში; 1931-33 წლებში იგი ლექციებს კითხულობდა სოფლის მეურნეობის და ტყის მავნებელ-ავადმყოფობებთან ბრძოლის სამხრეთის ინსტიტუტში, შემდგომ კი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მცენარეთა ქიმიური დაცვის კათედრას.

გულსხმიერმა, მომთხოვნმა, მაღალი პროფესიული ცოდნით აღჭურვილმა პიროვნებამ სოფლის მეურნეობის მრავალი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი აღუზარდა სამშობლოს. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები, ამ მხრივ მას დიდი ღვაწლი მიუძღვის მეზობელ სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცნიერ მუშაკთა წინაშე.

ს. ქარუმიძემ პირველმა ჩვენს ქვეყანაში 1941 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია აგრონომიულ ტოქსიკოლოგიაში. იგი 150-ზე მეტი სამეცნიერო შრომის და სახელმძღვანელოს ავტორია, მან პირველმა ჩვენს ქვეყანაში ქართულ და რუსულ ენაზე გამოსცა სახელმძღვანელო მცენარეთა ქიმიური დაცვაში, რომელიც დღესაც სოფლის მეურნეობის სპეციალისტების სამაგიდო წიგნად ითვლება. დაჯილდოებული იყო ორდენებით და მედლებით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სატატო სიგელით.

წავიდა ჩვენგან ღრმად ერუდირებული მეცნიერი. შესანიშნავი მოქალაქე, პრინციპული, თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი.

ს. ქარუმიძის განვლილი გზა, მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროთ ქვეყანას, ხალხსა და მეცნიერებას.

საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომიტეტი; საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო; საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის რეგიონალური განყოფილება; საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; საქართველოს მეცნარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

გუშინ, 5 ივნისს, აღინიშნა გარემოს დაცვის მსოფლიო დღე

„კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ომარ ჯანელიძეს.

— ბატონო ომარ, შეიტყეთი, რომ უკანასკნელ ხანს საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მომხდარა. რა ცვლილებები იყო და რა სასიკეთო შედეგებს უნდა ველოდოთ?

— დავიწყოთ იმით, რომ ჩვენი საზოგადოება ერთ-ერთი ყველაზე ძნიერი საზოგადოებაა საქართველოში. მის სათავეებთან იდგნენ დიდი მამულიშვილები, ჩვენი სასიქადულო მეცნიერები ნიკო კეტელაური, ვასილ გულისაშვილი, თეოფანე დავითაია, გიორგი ძოწენიძე და სხვანი. დაარსების დღიდან ჩვენი საზოგადოება ფორმალურად დამოუკიდებელი გახლდათ, მაგრამ ფაქტობრივად ასე არ ყოფილა. საზოგადოების თავმჯდომარედ, ჩვეულებრივ, რეგულარულად ირჩევდნენ რომელიმე მაღალი თანამდებობის პირს — ამით სურდათ საზოგადოების ავტორიტეტის ამაღლება, არადა, საზოგადოებისათვის კეთილი სახელის შექმნა მხოლოდ მის საქმეებს შეეძლო. უკანასკნელ ხანს ტრადიციად იქცა ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ავტომატურად „არჩევა“ ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარედ. ამ მოვლენას კი ორი უარყოფითი მხარე ჰქონდა: 1) კომიტეტის თავმჯდომარეობა უფრო მნიშვნელოვან პოსტად იყო მიჩნეული, ვინემ საზოგადოებისა, ამდენად დაბარალებული ყოველთვის ჩვენ ვრჩებოდით. 2) ჩვენი საზოგადოება დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და მნიშვნელოვნწილად სამთავრობო ორგანიზაციების ოპონენტის როლსაც უნდა ასრულებდეს. თავად გასაკვირია: განა შეძლებდა საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოება ოპონენტობა გაეწია ბუნების დაცვის კომიტეტისათვის, როდესაც მას (თუნდაც ნომინალურად) კომიტეტის თავმჯდომარე თავკაცობდა?

— როგორც ვიცით, საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს უკანასკნელმა პლენუმმა თქვენ ერთხმად აგირჩიათ თავმჯდომარედ. როგორც თავმჯდომარეს, როგორ გესახებათ საზოგადოების მომავალი საქმიანობა?

— უპირველეს ყოვლისა უნდა მოვაგვაროთ ჩვენი საზოგადოებისათვის საარსებო მნიშვნელობის ორგანიზაციული საკითხები. ეს შეეხება საზოგადოების სტატუსს. აუცილებელია საზოგადოების წესდებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანაც. საზოგადოება თითქოსდა თავისუფალია. სინამდვილეში კი ხელ-ფეხი გვაქვს შებორკილი ნაირ-ნაირი ინსტრუქციებით, რომლებიც ხშირად უკანონოა. დიახ, ხშირად კანონით მონიშვებულ უფლებას გვართმევენ რომელიღაც ჩინოვნიკის მიერ ფარატინა ქაღალდზე შეთითხნილი ინსტრუქცია. არადა, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება: ინსტრუქცია კანონქვედა დგარე აქტია და იგი არამც და არამც არ უნდა ზღუდავდეს კანონით მინიჭებულ უფლებებს. მარტო ჩვენ არა ვართ ამ დღეში, მაგრამ ეს რა შეღავათია? ალბათ, მაღე ასეთ „საკანონმდებლო“ აქტებთან იურიდიული კონფლიქტი მექნება. ცხადია, კარგი იქნება, თუ თავად „ინსტრუქციაშემოქმედი“ უწყებები თვითონ აიღებენ ხელს „თავადობაზე“, მაგრამ მათ ჯერ საამისოს ვერაფერს ვატყობთ და, ალბათ, ამის გამო იძულებული გავხდებით მათ მიმართ რამენაირად გამოვხატოთ ჩვენი პროტესტი. მოგეხსენებათ, უამრავი საქმე გვაქვს და უსარგებლო ანგარიშების საწერად დრო გვეინახება.

— კონკრეტულად რას აკეთებს ამჟამად თქვენი საზოგადოება?

— საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დონის ამაღლებამ და საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერებამ თავისთავად გამოიწვია საზოგადოებაში გარეშის კონტროლის ცენტრის შექმნის საჭიროება. ამჟამად არის საიმისო წინამძღვრები, რომ საზოგადოებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნას გარემოს რადიაციული კონტროლის საუწყებათშორისო ლაბორატორია, რომელიც მომავალში შესაბამისი გაზრდისა და გაძლიერების შედეგად საზოგადოების გარეშოს ეკოლოგიური კონტროლის მძლავრ ცენტრად უნდა გადაიქცეს.

შეიქმნა სამეცნიერო-პრაქტიკული ექსპედიცია სამხრეთ საქართველოს რეგიონში სანახლაო-მოსაპირკეთებელი ქვების ბარბაროსული მეთოდებით მოპოვების შედეგების შესწავლისა და აღკვეთის რეკომენდაციების შესამუშავებლად. დადგენილია ექსპედიციის მუშაობის შედეგების თანამიმდევრობით განხილვა სამხრეთ საქართველოს რეგიონის ყველა რაიონის აღმასკომების სესიაზე.

მომდინარეობს სამუშაოები მონიტორინგების საზოგადოებრივი ჯგუფის შესაქმნელად, რისთვისაც საზოგადოებისავე სანერგე მეურნეობებში გამოყოფილია ფაროობები გარემოზე კომპლექსური დაკვირვების მიზნით. მონიტორინგების ჯგუფის მონაცემები მოგვცემს იმ სტატისტიკას, რომელიც მომავალში პროგნოზირებისა და ნებისმიერი ანთროპოგენული დაბინძურების შეფასების საფუძველი იქნება.

დიდი სურვილი გვაქვს, შეიქმნას სპეციალური სამსახური ორგანული სასუქების საწარმოებლად. ასეთი სამსახურების შექმნა ფაქტობრივად გადაწყვეტს ნიტრატების გამოყენების აუცილებელ მინიმუმამდე დაყვანის საკითხს.

ვმუშაობთ აგრეთვე იმისთვის, რომ შეიქმნას სპეციალური სამსახურები რეკულტივაციის მიმართულებით, ლანდშაფტური დაგეგმარების სფეროში და ა. შ.

საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოება, როგორც არაერთხელ გვითქვამს, ბუნების დაცვის საერთაშორისო საზოგადოების დამოუკიდებელი წევრი უნდა გახდეს. უნდა ამაღლდეს საგანმანათლებლო და პროპაგანდისტული საქმიანობა, გაძლიერდეს სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობა და ა. შ.

— ბატონო ომარ, ახლა ბევრი ამბობს, სანამ საქართველო თავისუფლებას არ მოიპოვებს, ჩვენში რაიმე სერიოზული საქმის გაკეთება შეუძლებელიაო. ამ აზრს უპირველეს ყოვლისა სამეურნეო სფეროს მისამართით ამბობენ...

— მეც მსმენია ეგ მოსაზრება, მაგრამ ვერაფრით ვერ დავეთანხმები. ავიღოთ კონკრეტულად ჩვენი საქმე — ბუნების დაცვა. თუ ამთავითვე არ ვიღვაწეთ მის დასაცავად, თუ ერთიანად აეკოხრეთ და გავავერანეთ ჩვენი ველ-მინდრები და მთა-გორები, თუ პირწმინდად გავეყეფეთ ნაღირ-ფრინველი, თუ არ დავიცავით ჩვენი საბადოები, თუ გავაუდაბნოეთ საკუთარი მიწა-წყალი, როგორი თავისუფალი საქართველო შეგვრჩება ხელში? გამოწურული ლიმონივით (როგორც ეს ზიმბაბვეს დამართეს) სამშობლო გადაგცეთ მომავალ თაობას? არა, ბატონო! საქართველოს (დაპყრობილსაც და თავისუფალსაც) ჩვენი მოვლა-პატრონობა სჭირდება.

რაც შეეხება ეკონომიკას. მე ვიზიარებ ჩვენი წამყვანი ეკონომისტების მოსაზრებას, რომ საქართველოს დარგობრივი სტრუქტურა ხელახლა ჩამოსაყალიბებელია. მას ეროვნული სახე და შინაარსი უნდა ჰქონდეს. თუ როგორი იქნება იგი კონკრეტულად, ამის გარკვევა სიტუაციის ანალიზის, ლოგიკური გაანალიზების საქმეა, თუმცა ერთს მაინც ვიტყვი: ჩემი აზრით, საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის განსაზღვრისათვის უზარმაზარი ინფორმაციული ბანკის შექმნა დაგვჭირდება. ეს იქნება სამუშაოს პირველი ეტაპი. ამ ეტაპზე (მასალების და ინფორმაციის შეგროვება) ალბათ არ იქნება საკალდებულო მაინცდამაინც საზოგადოებათმაკოდნეთა დასაქმება. ეს რესპუბლიკის ყველა (თითქმის 150-მდე) დარგის მეცნიერ-სპეციალისტთა საქმეა. მეორე ეტაპზე კი ყველა ძირითად სამუშაოს (შეგროვილი მასალების შესწავლა, ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა) ალბათ, ეკონომიკის, სოციოლოგიის, ეკოლოგიის და სხვა დარგების სპეციალისტები შესასრულებენ. ერთობ საშურ საქმედ მომაჩნია იმის გარკვევა, თუ საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში რომელი დარგები იქნება განმსაზღვრელი, პერსპექტიული. განა სატირლად არ გვექნება საქმე, თუ ამ საკითხების

კურნეგად საქართველოს ბუნებისა

ნად გამოვხატოთ ჩვენი პროტესტი. ბოგიტსენებათ, უამრავი საქმე გვაქვს და უსარგებლო ანგარიშების საწერად დრო გვეინანება.

— კონკრეტულად რას აკეთებს ამჟამად თქვენი საზოგადოება?

— საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დონის ამაღლებამ და საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერებამ თავისთავად გამოიწვია საზოგადოებაში გარეშის კონტროლის ცენტრის შექმნის საჭიროება. ამჟამად არის საიმისო წინამძღვრები, რომ საზოგადოებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნას გარემოს რადიაციული კონტროლის საუწყებათშორისო ლაბორატორია, რომელიც მომავალში შესაბამისი გაზრდისა და გაძლიერების შედეგად საზოგადოების გარეშოს ეკოლოგიური კონტროლის მძლავრ ცენტრად უნდა გადაიქცეს.

— ბატონო ომარ, ახლა ბევრი ამბობს, სანამ საქართველო თავისუფლებას არ მოიპოვებს, ჩვენში რაიმე სერიოზული საქმის გაკეთება შეუძლებელიაო. ამ აზრს უპირველეს ყოვლისა სამეურნეო სფეროს მისამართით ამბობენ...

— მეც მსმენია ეგ მოსაზრება, მაგრამ ვერაფრით ვერ დავეთანხმები. ავიღოთ კონკრეტულად ჩვენი საქმე — ბუნების დაცვა. თუ ამთავითვე ჩვენი ველ-მინდრები, ბალები, ბაღები, ტყეები, ბალახეულობა, ფაუნა, ფრინველი, ნადირი, ბუნებრივ ანალოგებად ავაოხრეთ, ანალიზებად ავაოხრეთ, ანალიზებად ავაოხრეთ, ანალიზ